პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 132 (11136) | ხუთშაბათი, 12 ივნისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★

ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება რკინიგზელის დღის აღსანიშნავად

3 აგვისტომდე 1.200.000 ტონა ნორმის გადამეტებით

თბილისის საელმავლო დეპოს მძიმეწონსანები სასახელოდ ასრულებენ სახალხო-სამეურნეო ტვირთბიდვის დავალებებს. განვლილ ხუთ თვეში მათ ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 933.000 ტონა სახელმწიფო ტვირთი. მძიმეწონსანმა მეელმავლემ შ. ლორიამ 20 მაისს მოძრაობის გრაფიკის ზუსტი დაცვით ნორმის გადამეტებით გადაზიდა 3.000-ზე მეტი ტონა სახელმწიფო ტვირთი, ხოლო მძიმეწონსანმა ა. დემეტრაშვილმა — 1.500 ტონა. მძიმეწონსანთა რიგებს შეემატნენ რ. ნადირაშვილი, ა. ხერხეულიანი და ა. ღამბაშიძე, რომლებმაც მაისში ნორმის გადამეტებით 19.000-მდე ტონა სახელმწიფო ტვირთი გადაზიდეს.

ნაყოფიერად მუშაობენ ელექტრომავლების შემკეთებლებიც გ. ფეიქრიშვილი, ლ. მოსემღვდლიშვილი, ვ. ბაბენკოვი და პ. კუპრეიშვილი. მათ მაისში დავალების გადამეტებით საშუალო შეკეთებიდან გამოუშვეს მოტორვაგონების ორი სექცია.

თბილისელმა მეელმავლეებმა უკვე გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება რკინიგზელის საკავშირო დღის აღსანიშნავად — 3 აგვისტოსათვის ნორმის გადამეტებით 1.200.000 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვა.

მეორთქლმავლეები პირველობისათვის იბრძვიან

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მეორთქლმავლეები მნიშვნელოვანი მიღწევებით ეგებებიან თავიანთ დღესასწაულს — რკინიგზელის საკავშირო დღეს, რომელიც წელს 3 აგვისტოს აღინიშნება. აპრილში დეპოს კოლექტივმა საგზაო შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა, ხოლო მაისში კიდევ უფრო გაუმჯობესა მუშაობის მაჩვენებლები.

მძიმეწონსანმა მეორთქმლმავლეებმა მაისში ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 44.000 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები, მატარებელთა საათობრივი ტექნიკური სიჩქარე გაადიდეს 1,4 კილომეტრით, საშუალო სადღეღამისო გარბენი — 7,5 კილომეტრით. მოწინავე მძიმეწონსანმა მემანქანემ ი. ჩომახიძემ მარტო მაისში გადაიყვანა 7 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით 1.000-მდე ტონა ტვირთი გადაზიდა. დეპოს საამქროებს შორის მაისში დაწინაურდა აწევითი შეკეთების საამქროს კოლექტივი, რომელმაც გეგმის გადამეტებით 1 ორთქმავალი გამოუშვა და შესაკეთებლად ჩამოყენებული ორთქმავლების დგომის დრო 5 საათით შეამცირა.

მეორთქმავლეები ენთუზიაზმით ჩაებნენ რკინიგზელის დღის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

თბილისელმა მეორთქმავლეებმა უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბაქოელი მეორთქმავლეები.

დ. კვარაცხელია,
თბილისის საორთქმავლო დეპოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

პირველი განალენი კურეული — სახელმწიფოს

ლაგოდეხი. (ტელეფონით.) საკოლმეურნეო სოფელში შემოქმედებითი შრომა გაჩაღებული. მინდვრის ხომალდები შეუდგნენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ჭაბუკიანის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობა. აქ სანიმუშოდ მოუარეს თავთავიან მარცვლეულ კულტურებს. შედეგიც კარგია. მოსავლის აღებასთან ერთად ჭაბუკიანელები ქერს აბარებენ სახელმწიფოს. ამ კოლმეურნეობამ პურპროდუქტების წნორის ბაზას სამოცდარვა ცენტნერი კარგი ხარისხის ქერი ჩააბარა.

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" 25 წლისთავი

სტალინირი. (საკ. კორ.). შესრულდა 25 წელი გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" (საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, სტალინირის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ორგანო) პირველი ნომრის გამოსვლიდან.

სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა გაზეთის იუბილე.

ამ დღეებში შედგა გაზეთის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ გაზეთის მუშა და სოფლის კორესპონდენტები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მოწვეული სტუმრები.

გაზეთის განვლილი გზის შესახებ მოხსენება წაიკითხა „საბჭოთა ოსეთის" რედაქტორმა ვ. გელაშვილმა.

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციის კოლექტივს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს გორის საქალაქო გაზეთის „სტალინელის" რედაქტორმა შ. ჩუბინიძემ, საოლქო გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ დ. შამილაძემ, გაზეთ „სოვეთონ ირისთონის" რედაქტორმა ს. ჯიოევმა, მუშა კორესპონდენტმა ა. ბულგაკოვმა, ერედვის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ქრისტესიაშვილმა და სხვ.

საიუბილეო საღამოზე გამოქვეყნდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო საბჭოს აღმასკომის, გაზეთების „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „სოვეტაკან ვრასტანის" სარედაქციო კოლეგიების მისალმებანი გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციის კოლექტივისადმი. იუბილარს მისალმებები გამოუგზავნეს ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაზეთებმა „რასსეინადმა" და „სოციალისტიჩესკაია ოსეტიამ", აფხაზეთის გაზეთებმა „საბჭოთა აფხაზეთმა" და „აფსნი ყაფშმა", რესპუბლიკის ახალგაზრდულმა გაზეთებმა.

★ ★

მოსწავლეთა ახალ-ახალი სპორტული წარმატებებისათვის

საუბარი მოსწავლეთა X სპარტაკიადის ორგკომიტეტის თავმჯდომარესთან საქართველოს სსრ განათლების მინისტრ გ. ნ. ჯიბლაძესთან

მალე დაიწყება საქართველოს მოსწავლეთა დიდი სპორტული დღესასწაული. საქართველოს კორესპონდენტთან საუბარში მოსწავლეთა X სპარტაკიადის ორგკომიტეტის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა გ. ნ. ჯიბლაძემ განაცხადა:

— 14 ივნისს თბილისის „დინამოს" სტადიონზე აფრიალდება წითელი ალამი, რომელიც აუწყებს მოსწავლეთა X რესპუბლიკური სპარტაკიადის გახსნას. ჩვენს ქვეყანაში კარგ ტრადიციად იქცა ყოველ ზაფხულში მოსწავლეთა რესპუბლიკური, ხოლო შემდეგ სრულიად საკავშირო შეჯიბრების მოწყობა.

აგვისტოში, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, თავიანთ ტრადიციულ სრულიად საკავშირო სპარტაკიადაზე ჩამოვლენ საბჭოთა კავშირის ყველა მომძლე რესპუბლიკის ნორჩ სპორტსმენთა უძლიერესი ნაკრები კოლექტივები. მოსწავლეთა სრულიად საკავშირო სპარტაკიადისათვის საქართველოს მომზადების გადამწყვეტი ეტაპია X რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც მთლიანად სრულიად საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით ეწყობა. ამ დიდი სპორტული გამოცდისათვის მომზადებაში მოსწავლეებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ რესპუბლიკის პარტიული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები, აგრეთვე სასპორტო საზოგადოებანი.

რესპუბლიკური სპარტაკიადის დებულების თანახმად, მისი მონაწილე ყველა კოლექტივი დაყოფილი იქნება ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შეივლენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ნაკრები გუნდები. დანარჩენი რაიონების კოლექტივები გამოვლენ მეორე ჯგუფში. შეჯიბრებებში, რომლებიც ერთსა და იმავე დროს მიეწყობა ქალაქებში თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, მცხეთაში, მონაწილეობას მიიღებს 2.500-მდე მოსწავლე. ისინი იბრძოლებენ სპორტის 13 სახეობაში.

მოსწავლეთა საზაფხულო სპარტაკიადა უდიდესი სპორტული ღონისძიებაა. მას წინ უძღოდა მასობრივი შიდასასკოლო შეჯიბრებანი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 264.853 მოსწავლემ. შემდეგ მიეწყო რაიონული, საქალაქო შეჯიბრებები. ამ მასობრივმა შეჯიბრებებმა ხელი შეუწყო სკოლებში ფიზკულტურულ მოძრაობის შემდგომ განვითარებას, მრავალი ქალიშვილის და ჭაბუკის ჩაბმას სპორტში.

მაგალითად, თბილისში საქალაქო სპარტაკიადაში მონაწილეობას იღებდა ფეხბურთელთა 80 გუნდი, კალათბურთელთა 120 და ფრენბურთელთა 140 გუნდი, ასობით ნორჩი მოცურავე, მაგიდის ჩოგბურთელი და სხვ. ასეთი ბევრი მონაწილის ათვის ქალაქის სასპორტო ბაზები არ აღმოჩნდა საკმაო. ისეთ რაიონებში, როგორიც არის ასპინძის, ადიგენის, უაზბეგის, თიანეთისა და სხვა რაიონები, რომლებსაც მომზადების დონის მიხედვით არ შეუძლიათ მაღალი ნორმატივების შესრულების პრეტენზია იქონიონ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მათი დაშვებისათვის, მოეწყო მოსწავლეთა მასობრივი დღესასწაულები.

საქართველოს ნორჩი სპორტსმენები გულმოდგინედ ემზადებოდნენ მომავალი სპორტული ბრძოლისათვის. მათ არ შეუწყვეტიათ რეგულარული ვარჯიშობა ზამთრის პერიოდში, მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სამატჩო და ამხანაგურ შეხვედრაში. მაგალითად, საგაზაფხულო არდადეგების დღეებში „ჯეჯიბრებაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზის მოსაპოვებლად მოსწავლე ლ. კრილოვამ გაიმარჯვა 200 მეტრზე გაცურვაში ბრასის სტილით. ბაქოს, ერევნის, თბილისისა და დონის როსტოვის ნორჩ კალათბურთელთა ტურნირში ყველა შეხვედრა მოიგეს თბილისის ქალიშვილთა და ჭაბუკთა გუნდებმა.

წარმატებით გამოდიან ნორჩი სპორტსმენები მოზრდილებთან შეჯიბრებაში. მძლეოსნებმა ვ. ბედუკაძემ, ი. დიაჩკოვმა, ლ. ვოლოშინამ, ლ. რევაზოვამ ამ სეზონში დაამყარეს მოზარდთა საქართველოს ახალი რეკორდები. ჩოგბურთელებს რ. აბრანდაძეს, ნ. მძინარიშვილს, ნ. მუსაელიანს და სხვებს არაერთხელ დაუკავებიათ საპრიზო ადგილები და დაუმარცხებიათ მოზრდილნი. მოსწავლენი ლ. მოსეშვილი და ვ. ალტაბაევი შედიან საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებ გუნდში, ც. აბუაშვილი — ფრენბურთელ ქალთა გუნდში.

შარშან მოსწავლეთა სრულიად საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს წარმომადგენელნი საკმაოდ წარმატებით გამოვიდნენ. მათ მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვეს მოსკოვის და უკრაინის გუნდების შემდეგ.

(საქდესი).





ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის

სიახლე მარგანეცის კარბონატული მადნის გადამუშავებაში

ჭიათურელმა მაღაროელებმა, რუსთავის მეტალურგებმა, ზესტაფონურ ფეროშენადნობთა ოსტატებმა იცან, თუ რამდენ ძვირფასია ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის მსოფლიოში სახელგანთქმული, საუკეთესოდ აღიარებული ჭიათურის მარგანეცის პეროქსიდული მადანი. იგი ჩვენი ხალხის სიმდიდრე და ქართული მიწის წიალის სიამაყეა. მარგანეცის ანუ მანგანუმის ეს პეროქსიდული მადანი სჭირდება და კვლავაც დასჭირდება ჩვენს სახალხო მეურნეობას.

ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, თუ ყველა საშუალებით დავზოგავთ პეროქსიდულ მადანს, მის ნაცვლად გამოვიყენებთ მარგანეცის არაკონდიციურ მადნებს, მათ შორის ე. წ. კარბონატულ მადანს. განა წინდაუხედაობა არ იქნება, რომ რაკი პირველხარისხოვანი მადანი გვაქვს, ამიტომ თავი არ ავიტკივოთ არაკონდიციური მადნების გამოყენების საშუალებათა ძიებით, ხელი ავიღოთ ამ მადნების შემცველი მანგანუმის გამოყენების შესაძლებლობაზე და პირველხარისხოვანი მადნის ხელგაშლილი ხარჯვით მომავალ თაობათა საყვედური დავიმსახუროთ?

კარბონატული მადნის გამოყენებაში პირველი სიტყვა ჩვენმა მეტალურგებმა თქვეს. ისინი კარბონატულ მადანს წარმატებით იყენებენ მაღალხარისხოვანი ფოლადის მისაღებად. მაგრამ აღმოჩნდა კარბონატული მადნის ისეთი სახეობაც, რომლის გამოყენება ვერ შეძლეს მეტალურგებმა, ვინაიდან ამ სახის მადანში მომეტებული რაოდენობით არის კაჟბადისა და ფოსფორის მინარევი, რაც ამ მადანს ლითონის წარმოებაში გამოყენებისათვის უვარგისად ხდის. ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს ქიმიკოსებმა. თუ მეტალურგებმა მოახერხეს ზოგი სახის კარბონატული მადნის გამოყენება, რატომ არ შეიძლება ეს მადნები ქიმიურ მრეწველობაში გამოვიყენოთ?

ამ საკითხმა განსაკუთრებით დაინტერესა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის მუშაკი, ქიმიის მეცნიერების კანდიდატი ქრისტეფორე ფურცელაძე. მან შეისწავლა მარგანეცის კარბონატული მადნის აზოტმჟავათი გახსნის პროცესები, მიღებული პროდუქტების თვისებები და მათი ურთიერთდაშორების შესაძლებლობები.

მისსაბაძი ენთუზიაზმი გამოიჩინა ამ საქმეში ახალგაზრდა მკვლევარმა მეცნიერმა. მის ხანგრძლივ, დაძაბულ შრომას უქმად არ ჩაუვლია. აზოტმჟავათი კარბონატული მადნის გადამუშავების შედეგად მიღებულ იქნა ამონიუმნიტრატი, იგივე ამონიუმის გვარჯილა. აქ ახალი თუმცა არაფერია ამონიუმნიტრატის მიღების ტექნოლოგია დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ სიახლე აქ ის იყო, რომ ამ პროდუქტის მისაღებად ტექნოლოგიურ პროცესში ჩართულ იქნა კარბონატული მადანი, ამონიუმნიტრატთან (ამონიუმის გვარჯილასთან) ერთად მიღებულ იქნა არანაკლებ ძვირფასი მეორე პროდუქტი — მანგანუმის ორჟანგი, რომელსაც იყენებენ მეტალურგიაში, ელემენტურ მრეწველობაში, ფარმაცევტულ წარმოებაში, სახალხო მეურნეობის მრავალ სხვა დარგში.

ერთი სიახლეც აღმოჩნდა ქ. ფურცელაძისა და მისი თანამშრომლების მიერ დაყენებული ცდების შედეგად.

აგრობიოლოგიაში ცნობილია, რომ მცენარის ზრდა-განვითარების დასაჩქარებლად საჭიროა ნიადაგის სასუქში მიკროსამეული რაოდენობით იყოს ისეთი ნივთიერებანი — მიკროელემენტები, როგორიც არის ბორი, თუთია, მანგანუმი, კობალტი და ა. შ. თუ ნიადაგში ბორი არ არის, მცენარის ზრდა ბრკოლდება, მასში ნივთიერებათა ცვლას ხელი ეშლება, ქლოროფილის რაოდენობა მცირდება და ე. წ. ფოტოსინთეზში სათანადო ინტენსივობით არ ვითარდება. მცენარის განვითარებისათვის ასევე აუცილებელია მანგანუმი მცირე რაოდენობით, ურომლისოდაც მცენარეს სუნთქვა უძნელდება, ნახშირორჟანგს ვერ ითვისებს. კობალტიც, ცხადია, მიკროსკოპული რაოდენობით, აუცილებელია მცენარის განვითარების ბიოქიმიური პროცესების წარმატებისათვის. მისი ნაკლებობა ცოცხალ ორგანიზმში იწვევს ნივთიერებათა ცვლის შეფერხებას, ცხოველის ჭლეკვისა და სხვა ინფექციური სნეულებით დაავადებისადმი მიდრეკილებას. ისეთ სასუქს, რომელშიც ეს ნივთიერებანი (ბორი, მანგანუმი, კობალტი და ა. შ.) მიკროსკოპული რაოდენობით შედიან, უწოდებენ მიკროსასუქს.

ქრისტეფორე ფურცელაძისა და მისი თანამშრომლების მიერ ლაბორატორიაში კარბონატული მადნიდან მიღებულ ამონიუმის გვარჯილაში სასუქველი პროპორციით იყო გადასული ბორიც, მანგანუმიც, კობალტიც და სხვა მიკროელემენტებიც. მაშასადამე, მიკროსასუქის მიღების საკითხიც გადაჭრილი აღმოჩნდა.

სახალხო მეურნეობისათვის ძვირფასი ეს ორი პროდუქტი — ამონიუმის გვარჯილა და მანგანუმის ორჟანგი მიღებულია არა მარტო ლაბორატორიულ პირობებში. ამ ორი პროდუქტის წარმოების მიზანშეწონილობა საეხებით დადასტურდა ნახევარსაქარხნო პირობებში სპეციალურად გამართულ საამქროში. ეს საამქრო, რომელსაც ამბ. ვ. სვანიძე ხელმძღვანელობს, უკვე გვაძლევს ამ ორი სახელწოდების პროდუქციას პროექტით გათვალისწინებული რაოდენობით. ნახევარსაქარხნო პირობებში ცდების ჩატარებაზე თავგამოდებით მუშაობდნენ მეცნიერი მუშაკები — გ. ჩიჩანიძე, თ. ჭყონია, ზ. თოფურია, ზ. ქარუმიძე და რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის სპეციალისტები.

ყოველივე ამასთან ახლა. მიმდინარეობს იმის შესწავლა, თუ როგორ ეფექტს მოგვცემს მიკროსასუქით განვითარებული მცენარეთ და მისი ნაყოფით საქონლის კვება, ამაღლდება თუ არა, ან რამდენად ამაღლდება ასეთი საკვების გამოყენებით მესაქონლეობის პროდუქტების — რძის, ყველის, ხორცის ხარისხი?

მეცნიერების თითქმის ყველა გამოყენებითი დარგის მოწინავე წარმომადგენლები მუშაობენ ამ საკითხების დაზუსტებაზე, სათანადო ექსპერიმენტებით შემოწმებაზე.

დ. ლომთაძე.

• • •

სურათებზე: რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა. (მარცხნივ) საამბორციო კოშკები სუსტი აზოტმჟავას საამქროში; მეთანის კონვერსიის საამქრო. ამწყობები მ. გიკოშვილი (მარცხნივ) და ბ. დემეტრაშვილი მუშაობის დროს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

საგარეჯოს და ლაგოდეხის რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელთა ინიციატივის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნას ინიციატივა საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის მექანიზატორებისა და სპეციალისტებისა, რომელებმაც გაზეთების „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" მეშვეობით მიმართეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს წინადადებით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის, მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის.

შეჯიბრების ინიციატორებმა — საგარეჯოს რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს მოწინავე აგროტექნიკის მიღწევების ფართოდ დანერგვის გზით 1958 წელს 2.800 ჰექტარი საერთო ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 400 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა ტაროიანად, აქედან ნაწვერალზე დაითესება 880 ჰექტარი.

2. მოწონებულ იქნას ინიციატივა ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის სახოფლო-სამეურნეო არტელ „ლენინის ანდერძის" საკოლმეურნეო სატრაქტორო ბრიგადისა, რომელმაც გაზეთ „ზარია ვოსტოკას" მეშვეობით წამოაყენა წინადადება გაჩაღდეს საქართველოს კოლმეურნეობათა მექანიზატორების სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეული კულტურების მოსავლის 10 დღის განმავლობაში აღებისათვის.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს მხარი დაუჭირონ საგარეჯოსა და ლაგოდეხის რაიონების მშრომელთა ინიციატივას და გააფართოონ იგი, გააცნონ ეს მიმართვები თვითეულ კოლმეურნეს, სოფლის მეურნეობის მექანიზატორსა და სპეციალისტს; ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის და მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის.

4. დაევალოს რესპუბლიკურ გაზეთებს სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

მხარი დავუჭიროთ საგარეჯოელ და ლაგოდეხელ კოლმეურნეთა პატრიოტულ თაოსნობას

ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ენერგიულად იბრძვიან პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიული გადაწყვეტილებების განუხრელად განხორციელებისათვის. ახლა, როცა სამამულო ტექნიკა კოლმეურნეობების ხელშია, ახალი ძალით ვლინდება მშრომელთა ინიციატივა, რომელიც მიმართულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისაკენ.

ღირსშესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს საგარეჯოსა და ლაგოდეხის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. საგარეჯოელებმა კურსკელ კოლმეურნეთა მაგალითისამებრ მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს — საზოგადოებრივ მეცხოველეობას შეუქმნან მძლავრი საკვები ბაზა. **ამ მიზნით წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ სულ მცირე 400 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა.** ამ მიმართვაში ნათქვამია:

„რაიონის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს კარგად ესმით, რომ გადაწყვეტა პარტიის მიერ დასახული ამოცანისა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ — მოითხოვს ჩვენი რაიონის მშრომელების კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. გადავწყვიტეთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ მთელი ჩვენი ძალები და რეზერვები, კარგად მოვუაროთ სასილოსედ დათესილ 2.800 ჰექტარ სიმინდს... 1958 წელს 2.800 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 400 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა ტაროიანად".

საგარეჯოელთა ამ თაოსნობას მხარი უნდა დაუჭირონ ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა, იკისრონ კონკრეტული ვალდებულებები და ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ სიმინდის ნათესების საუკეთესო მოვლა-პატრონობა, მიაღწიონ რაც შეიძლება მეტი მწვანე მასის დამზადებას. ეს იქნება მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდების მძლავრი პირობა. სწორედ ახლა, ამ პერიოდში წყდება მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ბედი. ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა წინაშე ამჟამად დგას მეორე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა. ეს არის თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღება. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" საკოლმეურნეო სატრაქტორო ბრიგადის ინიციატივა. ამ ბრიგადამ მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის კოლმეურნე მექანიზატორებს — **პურის მოსავალი აიღონ ათ სამუშაო დღეში.** ამ სატრაქტორო ბრიგადის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს წელს ათ დღეში მომკას 850 ჰექტარი პურეული, აქედან 200 ჰექტარზე მოსავალი აიღოს ორ ფაზად (გაყოფით), თვითეულ ჰექტარზე გალეწოს 20 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერისა და სხვ.

საგარეჯოელ კოლმეურნეთა და ლაგოდეხელ კოლმეურნე მექანიზატორთა მიმართვები მეცხოველეობისათვის მძლავრი საკვები ბაზის შექმნისა და პურეულის ათ სამუშაო დღეში აღების შესახებ, რომელიც რესპუბლიკურ პრესაში იყო გამოქვეყნებული, მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც გამოიტანა დადგენილება „საგარეჯოს და ლაგოდეხის რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობის". ეს დადგენილება, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება, ავალებს **საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს მხარი დაუჭირონ საგარეჯოსა და ლაგოდეხის რაიონების მშრომელთა ინიციატივას და გაავრცელონ იგი, გააცნონ ეს მიმართვები თვითეულ კოლმეურნეს, სოფლის მეურნეობის მექანიზატორსა და სპეციალისტს, ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის და მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის.**

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის ინსპექციების ვალია ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ახალი ინიციატივის გაფართოებას, ყოველივე პროგრესულის დანერგვას წარმოებაში და მთელი ძალების დარაზმვით მიაღწიონ ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

საგარეჯოელ და ლაგოდეხელ კოლმეურნეთა პატრიოტული თაოსნობის ფართოდ გავრცელებაში, სიმინდის მწვანე მასის უხვი მოსავლის მიღებისა და პურეულის ათ სამუშაო დღეში აღების უზრუნველყოფის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ საოლქო, რაიონულმა და კედლის გაზეთებმა. მათ უნდა განუმარტონ მშრომელებს ამ თაოსნობის არსი, ის დიადი ამოცანები, რომლებიც პარტიამ დასახა სოფლის მეურნეობის წინაშე.

მხარი დავუჭიროთ საგარეჯოელ და ლაგოდეხელ კოლმეურნეთა თაოსნობას, ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის, შევქმნათ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობისათვის, მკვეთრად გავადიდოთ ხორცის, რძისა და კარაქის წარმოება! ათ სამუშაო დღეში ავიღოთ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი!

ეს არის ამჟამად რესპუბლიკის სასოფლო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გადასცეს უნგრეთის საარქივო მასალები, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო არქივებში ინახება.

გადასაცემი საარქივო მასალები უნგრეთის მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებათა 1920-1945 წლების პერიოდის დოკუმენტებს შეიცავენ და დიდ ღირებულებას წარმოადგენენ უნგრეთის აღნიშნული პერიოდის ისტორიის შესწავლისათვის.

ნეპალის მეფე და დედოფალი სტალინგრადში

სტალინგრადი, 10 ივნისი. (საკ. დეს). ნეპალის მეფე მაჰენდრა ბირ ბიკრამ შაჰ დევა და დედოფალი რატნა რაჯი ლაქშმი დევი შაჰი კვლავ ეცნობოდნენ სტალინგრადის ღირსშესანიშნაობებს. დილით ისინი გემ „ალექსანდრე პოლეევეევით" გაემგზავრნენ სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. შემდეგ მეფე და დედოფალი და მათი თანმხლები პირები გემ „ალექსანდრე პოლეევეევით" წავიდნენ ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხამდე, რომელიც ჰესიდან 60 კილომეტრზე მდებარეობს. აქ გემბანზე მათ გაუმართეს საუზმე. სტალინგრადის მცხოვრებთა სახელით საპატიო სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ვ. შჩიპახინმა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა მეფე მაჰენდრამ.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხზე მეფემ და მისმა მეუღლემ დაათვალიერეს სათავო ნაგებობანი, რაბები.

სტალინგრადში სტუმრების დაბრუნებისას გმირი ქალაქის მცხოვრებნი კვლავ გულთბილად შეხვდნენ ნეპალელი ხალხის წარმოგზავნილთ.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲙᲐᲠᲑᲝᲜᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲨᲘ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲙᲐᲠᲑᲝᲜᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲨᲘ

მადნის გამოყენება, რატომ არ შეიძლება ეს მადნები ქიმიურ მრეწველობაში გამოვიყენოთ?

ამ საკითხმა განსაკუთრებით დაინტერესა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის მუშაკი, ქიმიის მეცნიერების კანდიდატი ქრისტეფორე ფურცელაძე. მან შეისწავლა მარგანეცის კარბონატული მადნის აზოტმჟავათი გახსნის პროცესები, მიღებული პროდუქტების თვისებები და მათი ურთიერთდაშორების შესაძლებლობები.

მისსაბაძი ენთუზიაზმი გამოიჩინა ამ საქმეში ახალგაზრდა მკვლევარმა მეცნიერმა. მის ხანგრძლივ, დაძაბულ შრომას უქმად არ ჩაუვლია. აზოტმჟავათი კარბონატული მადნის გადამუშავების შედეგად მიღებულ იქნა ამონიუმნიტრატი, იგივე ამონიუმის გვარჯილა. აქ ახალი თუმცა არაფერია ამონიუმნიტრატის მიღების ტექნოლოგია დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ სიახლე აქ ის იყო, რომ ამ პროდუქტის მისაღებად ტექნოლოგიურ პროცესში ჩართულ იქნა კარბონატული მადანი, ამონიუმნიტრატ

პარტიული ცხოვრება

ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდა — ყურადღების ცენტრში

რაც უფრო მაღალია კადრების პოლიტიკური მომზადების დონე, მით უფრო უნარიანად მონაწილეობენ ისინი როგორც საწარმოო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ არის, რომ მაღაროს პარტიული ორგანიზაცია შრომელთა პოლიტიკურ აღზრდასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას. თუ წინათ ამ საქმეში ნაკლოვანებანი გვქონდა, ამჟამად ყოველმხრივ ვცდილობთ, რომ ისინი აღარ გამეორდეს.

მაღაროს უბნებსა და დამხმარე საწარმოებში ფართოდ არის გაჩაღებული პოლიტიკური აგიტაცია. სააგიტაციო მუშაობაში ჩაბმულია 27 ინჟინერ-ტექნიკოსი. მათგან ენერგიული მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევიან: ნ. ჩხენკელი (პირველი საწარმოო უბნის გამგე), ო. კობახიძე (მესამე საწარმოო უბნის გამგე), ზ. ციცვიძე (ელექტრომეურნეობის უფროსი), ვ. უგულავა (მეოთხე საწარმოო უბანი). აღნიშნული ამხანაგები სააგიტაციო საუბრებში სისტემატურად იყენებენ საწარმოო ცხოვრებისა და მუშაობის ამსახველ კონკრეტულ ფაქტებს, მხატვრულ ლიტერატურას, თვალსაჩინოებას.

ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე მაღაროს პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში. ტექნიკური კონტროლის ჯგუფის უფროსი ინჟინერი თამარ არველაძე მაღაროს პროფკავშირის საუბნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო გეოლოგი დ. ღუღუნიშვილი პროფკავშირის მაღაროს მუშათა კომიტეტის შრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარეა. მაღაროს კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის მოადგილედ არჩეულია ტექნიკოსი ზ. კაციტაძე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მაღაროთა სამმართველოში პარტიული კომიტეტის ინიციატივით მოეწყო ტექნიკური კონფერენცია, რომლის მუშაობაში საქმიანი მონაწილეობა მიიღეს ინჟინრებმა ნ. ჩხენკელმა, დ. ღუღუნიშვილმა, გ. ერქომაიშვილმა, მუშა ა. დვალიშვილმა და სხვებმა. პარტბიუროს ინიციატივით მაღაროში ყოველთვიურად ეწყობა კითხვა-პასუხის საღამო. ეს ღონისძიება დიდად აძლიერებს მაღაროს ინტელიგენციისა და მთელი კოლექტივის ინტერესს პოლიტიკური და ტექნიკური ცოდნის შეძენისადმი.

პარტიული ბიუროს ჯეჭოვან ყურადღებას აქცევს კადრების ინტერნაციონალურ აღზრდას. ამ ბოლო დროს კიდევ უფრო განმტკიცდა კავშირი მოძმე უკრაინის რესპუბლიკის ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის მაღაროელებთან. წელს ნიკოპოლელები სტუმრად იყვნენ ჩვენთან. გაცხოველებული მეგობრული მიწერ-მოწერაა უკრაინელ და ქართველ მაღაროელებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს შორის. ორივე საწარმოს კოლექტივების ასეთი ფართო და ძმური კავშირი ხელს უწყობს ინტელიგენციის, ყველა მაღაროელის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდას.

ბევრი ინჟინერი და ტექნიკოსი აქტიურად არის ჩაბმული პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ მიცემული აქვთ შესაფერისი დავალებები. პარტიულ დავალებას კარგად ასრულებს მაღაროს ბურღვა-აფეთქების უფროსი ინჟინერი რიმა ფერაძე, რომელიც პარტბიუროს მდივნის მოადგილედ მუშაობს. ასევე ითქმის მაღაროს ვენტილაციის უფროსის ინჟინერ რ. დევიძის და სხვების შესახებ.

მაღაროს ინჟინერ-ტექნიკოსები და სპეციალისტები ენერგიულად იბრძვიან საწარმოს შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის. წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მექანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ინჟინერ-ტექნიკოსებს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროში შემოაქვთ მრავალი წინადადება. მაღაროს მთავარმა მექანიკოსმა ა. ცარციძემ ელმავალს გაუკეთა სპეციალური კომბინირებული ჯალამბარი, რითაც საგრძნობლად შემცირდა მოცდენა. ასევე საინტერესო წინადადებანი შემოიტანეს ზ. ციცვიძემ, ლ. დევიძემ და სხვებმა.

მიუხედავად ამისა, მაღაროს ინტელიგენციასთან მუშაობაში ნაკლოვანებანი არის. ინჟინერ-ტექნიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი იშვიათად გამოდის პოლიტიკური მოხსენებებით მაღაროს კოლექტივის წინაშე, ნაკლები ყურადღება ექცევა პრაქტიკოსი მუშაკების თეორიული მომზადების დონის ამაღლებას. პარტბიურო გააძლიერებს მუშაობას აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის.

შ. ცერცვაძე,
ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს ჭალების მაღაროს პარტბიუროს მდივანი.

ახალი საბჭოთა მეურნეობა

სტალინირი. (საკ. კორ.). რაიონის სოფლების თამარაშენის, ტბეთისა და კუსრეთის კოლმეურნეობათა ბაზაზე შეიქმნა მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.

საბჭოთა მეურნეობას მეცხოველეობის მსხვილი ფერმები ექნება. იგი ქალაქ სტალინირის მოსახლეობას მოამარაგებს მეცხოველეობის პროდუქტებით, ხილით და ბოსტნეულით.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მზა პროდუქცია დანიშნულების მიხედვით გაგზავნის წინ.

ორი სკოლის მაგალითი

ხოფელ გლდანის ხაშუალო სკოლას გამოყოფილი აქვს ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი; აქ მოსწავლეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-პატრონობის პრაქტიკულ ჩვევებს იღებენ. მოსწავლეები აგრეთვე გადიან საწარმოო პრაქტიკას თავიანთ მშობლიურ კოლმეურნეობაში, სადაც ისინი მდიდარ გამოცდილებას იღებენ მემინდვრეობაში, მებაღეობაში, მებოსტნეობასა და მეცხოველეობაში. მოსწავლეთა პრაქტიკუმს ხელმძღვანელობს სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი ანტონ შუბლაძე. ათობით მოსწავლეა ჩაბმული საკოლმეურნეო შრომაში და აქტიურ მონაწილეობას იღებს კოლმეურნეობის ყოველდღიურ საქმიანობაში. მაგალითად, გასულ წელს ამ სკოლის მოსწავლეები დაეხმარნენ კოლმეურნეობას აბრეშუმის ჭიის გაზრდაში. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი მეთერთმეტეკლასელებმა ნ. გამხუაშვილმა, ვ. ონანაშვილმა, გ. ყველაშვილმა, თ. გიგაურმა, მეათეკლასელმა ლ. გამხუაშვილმა, მეცხრეკლასელებმა ზ. ბიბილაშვილმა, ვ. მაისურაძემ, ნ. მაისურაძემ, ნ. ვარდანაშვილმა და ვ. გამდლიშვილმა. სოფელ გლდანის კოლმეურნეობის გამგეობამ მოსწავლეები ნ. გამხუაშვილი და კ. ონანაშვილი საკოლმეურნეო შრომაში აქტიური მონაწილეობისათვის შარშან გაგზავნა ექსკურსიაზე ქალაქ მოსკოვში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენებზე. გლდანის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი წელსაც გაზარდონ აბრეშუმის ჭია.

ბევრი მოსწავლე არდადეგების პერიოდში უშუალოდ მუშაობს ფერმებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ო. ელგენდარაშვილი, რომელმაც გასულ წელს 190 შრომადღე გამოიმუშავა. მოსწავლე ი. გამდლიშვილმა 175 შრომადღე გამოიმუშავა. კოლმეურნეობის საობუსრში საყოფიერ შრომას ეწევა მეათეკლასელი ნ. ღონღაძე, რომელსაც გამომუშავებული აქვს 170 შრომადღე.

მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ნიკოლოზ ღონღიშვილი გასულ წელს საგაზაფხულო არდადეგების დროს სამუშაოდ წავიდა ყაზარ მიწებზე კუსტანაის ოლქის სოფელ პეშკოვსკაიას კოლმეურნეობაში და 350 შრომადღე გამოიმუშავა. გლდანის საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის კრებაზე ნ. ღონღაშვილმა სურვილი გამოთქვა სკოლის დამთავრების შემდეგ იმუშაოს მშობლიურ კოლმეურნეობაში. მისი გადაწყვეტილება გაიზიარეს დამამთავრებელი კლასელებმა.

გლდანის კოლმეურნეობის მინდვრებში ტექნიკური კულტურების მოგლა-პატრონობას სწავლობენ არა მარტო გლდანის საშუალო სკოლის მოსწავლეები, არამედ აქ თავისი მოსწავლეები ჩამოპყავს თბილისს მე-14 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს ტ. ახობაძესაც. მათ გულთბილად ხვდება კოლმეურნეობის აგრონომი გ. რიონიშვილი, რომელიც თავის, მდიდარ, გამოცდილებას უზიარებს თბილისელ მოსწავლეებს.

თბილისის მე-14 საშუალო სკოლას თავის მხრივ ეზოში გამოყოფილი აქვს მიწის ნაკვეთი, სადაც მუშაობენ მებოსტნეობისა და მევენახეობის წრეები. მოსწავლეებს გამოპყავთ პამიდორისა და კომბოსტოს ჩითილი. ამ სკოლის მეექვსეკლასელები ლ. სიაშვილი, ნ. ხარატიშვილი და ლ. იმნაძე ვაზის სანიმუშოდ მოვლა-პატრონობისათვის პიონერთა სახლიდან ქების სიგელებით დაჯილდოვა. სკოლის ეზოში მოსწავლეებმა დარგეს და გაახარეს ხეილი და დეკორაციული მცენარეები.

მე-14 სკოლის პედაგოგიური დიდ ყურადღებას აქცევს პოლიტექნიკურ სწავლებას. მოსწავლეები სკოლაში ეუფლებიან საწარმოო შრომას. გამოყოფილია ხუთ ეზიანი ნაკლო და სადურგლო კაბინეტები, სადაც პრაქტიკუმს ატარებენ მასწავლებლები კ. ჯინჭარაძე და გ. გიგილაშვილი. მოსწავლეები ამზადებენ საზეინკლო და სადურგლო იარაღებს, სწავლობენ სახარატო, საბურღავი და სახერხი ჩარხების მართვას.

სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ დანერგვამ სასურველი შედეგი გამოიღო. გასულ წელს მე-14 სკოლა დაამთავრა 54 მოსწავლემ, აქედან 51 ეწევა სასარგებლო შრომას კოლმეურნეობებსა და წარმოებებში. ვერცხლის მედალოსანი გ. ნოშაძე ენერგიულად მუშაობს ელექტროგამშვებ ქარხანაში, მუშუულაშვილი სამუშაოდ წავიდა სილნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობაში, ო. ცხადაძემ მუშაობა დაიწყო ჭიათურის მაღაროებში.

თბილისის მე-14 საშუალო სკოლის დირექტორმა გ. ცქიტიშვილმა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს დაურიგებინა გააცნო ამხ. ნ. ხრუშჩოვის სიტყვა, წარმოთქმული საკავშირო ალკა XIII ყრილობაზე, და მოუწოდა მოსწავლეებს, რათა თავიანთი შრომითი საქმიანობით ასახელონ მშობლიური სკოლა.

მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი სკოლის დამთავრების შემდეგ იმუშაონ საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში.

შ. ბაჯელიძე.

„კომუნისტის“ სიგნალის

შემდეგ

„საქართველოში მასობრივ-ფიზიკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 15 მაისის ნომერში დაბეჭდილ ვრცელ კორესპონდენციაში მხილებული იყო სერიოზული ნაკლოვანებანი რესპუბლიკის სასპორტო-ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. ხიხარულიძე გვატყობინებს, რომ კომიტეტის ლია პარტიულმა კრებამ 21 მაისს განხილა ზემოაღნიშნული კორესპონდენცია და სამართლიანად მიიჩნია გაზეთის კრიტიკა.

კრებამ დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

„სანიმუშოდ მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის“

ამ სათაურით „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 19 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კპ ხაშურის რაიკომი გვატყობინებს, რომ აღნიშნული საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ, სწორად ცნო წერილში მოყვანილი ფაქტები და დასახა ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პარტიის ხაშურის რაიკომის რჩევით არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ განთავისუფლებულ იქნენ სოფლების კაკალათხევისა და დამჩხეულის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ბ. გიორგაძე და მ. გოგალაძე.

დიდი მზრუნველობა საბჭოთა მუსიკის აყვავებისადმი

★ ★

ქართველი მწერლების ხმა

გუშინ 11 მაისს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 28 მაისის დადგენილებას „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“.

კრება გახსნა პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილემ ერ. ქარელიშვილმა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის დადგენილების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ს. ჭილაია.

ჩვენი საბჭოთა ხელოვნების ასეთი უმაგალითო აყვავება, — აღნიშნა მომხსენებელმა, — პარტიის ყოველდღიური ზრუნვის შედეგია. პარტია ყოველთვის მოგვიწოდებდა და მოგვიწოდებს შეექმნათ ხალხისათვის მახლობელი, ამაღელვებელი ნაწარმოებები, ვიაროთ სოციალისტური რეალიზმისა და ხალხურობის გზით.

პარტიის ახალი დადგენილება „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“ დიდ როლს შეასრულებს მთელი საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარების საქმეში.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები ვ. პატარაია, ა. ჭეიშვილი, მიხ. მრევლიშვილი, ა. ლომიძე და ა. გომიაშვილი.

კრებამ ერთხმად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება როგორც საბჭოთა ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის დროულად მიღებული დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება.

შევქმნათ ხალხისათვის საყვარელი ნაწარმოებები

საბჭოთა მუსიკალური შემოქმედება ღრმა იდეურობით ხასიათდება. მუსიკა ხალხის სამსახურშია დგას — ასე წარმართავს მას კომუნისტური პარტია, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დადგენილებამ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა მუსიკის განვითარებაში. მაგრამ გადაჭარბებული იყო სიმკაცრე მთელი რიგი ნაწარმოებისა და ზოგიერთი გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის მიმართ.

ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 28 მაისის დადგენილებაში სამართლიანად დაგმობილია გადაჭარბებულად მკაცრი, სუბიექტური მიდგომა კომპოზიტორთა შემოქმედებისადმი. დადგენილება გვასწავლის, რომ საჭიროა გულისხმიერი, ჰუმანური დამოკიდებულება მუსიკოსებისადმი, საჭიროა სწორი, პირუთვნელი კრიტიკა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს ისტორიული დადგენილება, უსათუოდ დიდ როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში. ახალი დადგენილება კომპოზიტორებს გვმატებს ძალას, გამბედაობას, უფრო მეტად გვაგრძნობინებს პარტიისა და ხელისუფლების დიდ მზრუნველობას, უფრო მეტად გვავალებს შევქმნათ ხალხისათვის საყვარელი ნაწარმოებები. ამით არის გამოწვეული ის აღფრთოვანება და სიხარული, რომლითაც ეგებებიან საბჭოთა კომპოზიტორები ახალ დადგენილებას.

კომპოზიტორი ა. ჩიმაკაძე.

დიდმნიშვნელოვანი დადგენილება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 28 მაისის დადგენილება ახალი საფეხურია საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში. პარტია თავის ახალ დადგენილებაში, ემყარება რა ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის ლენინურ პრინციპს, მოუწოდებს შემოქმედებით მუშაკებს ხალხურობის, რეალიზმისა და მაღალმხატვრულობისაკენ. ფორმალისტური ტენდენციების წინააღმდეგ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1948 წლის დადგენილებამ, მიუხედავად შეცდომებისა, უთუოდ გარკვეული ისტორიული როლი შეასრულა.

პარტიის ახალი დადგენილების დედააზრი ის არის, რომ საბჭოთა ხელოვნების, საბჭოთა ლიტერატურის გზა ხალხურობისა და რეალიზმის გზაა. ეს დადგენილება, ისე როგორც 1948 წლის დადგენილება, გმობს უიდეობას, უფერულობას, პრიმიტივიზმს და მაღალი ოსტატობისაკენ მოუწოდებს შემოქმედებით მუშაკებს.

განსაკუთრებით ახლა, როდესაც შეურიგებელი ბრძოლაა რევიზიონიზმის წინააღმდეგ, ცენტრალური კომიტეტის მაისის დადგენილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ძალების კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვას პრინციპულ იდეურ საფუძველზე.

ალიო მირცხულავა.

სსრ კავშირში სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის შესახებ

წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველია. იგი ჩვენი სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების, მშრომელთა შეძლებული ცხოვრების წყაროა.

სოციალისტური საკუთრება სსრ კავშირში ორი ფორმით არსებობს: სახელმწიფო, ე. ი. საყოველთაო-სახალხო და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმით.

სსრ კავშირში სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის არსებობა იიხსნება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ისტორიული პირობებით, რასთანაც დაკავშირებულია საკუთრების ამ ორი ფორმის წარმოშობის განსხვავებული გზები.

საყოველთაო-სახალხო საკუთრება შეიქმნა კაპიტალისტური და მემამულური საკუთრების ექსპროპრიაციის შედეგად. მიწის, მისი წიაღის, წყლისა და ტყის, ფაბრიკების, ქარხნების, რკინიგზების, ბანკების, შახტების და ა. შ. ნაციონალიზაციამ, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად განხორციელდა, საფუძველი ჩაუყარა საზოგადოებრივ საკუთრებას, რომელზე დაყრდნობითაც საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა ძლევამოსილი შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე, გაშალა ბრძოლა ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის დასაძლევად, მოახდინა კაპიტალისტური საკუთრების ლიკვიდაცია მრეწველობასა და ვაჭრობაში.

განსხვავებულად მოხდა სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სოფლად. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებშივე განხორციელებულმა მიწის ნაციონალიზაციამ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში მიღწეულმა უდიდესმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადეს წვრილი, დაქსაქსული, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობიდან ნებაყოფლობით მომხდარიყო გადასვლა მსხვილ, კოლექტიურ სოციალისტურ მეურნეობაზე. ეს რევოლუციური პროცესი არ ყოფილა მშრომელი გლეხობის მილიონიანი მასების ექსპროპრიაციის შედეგი. გლეხობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ფართო მხარდაჭერამ, მსხვილ სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა უპირატესობის თვალსაჩინო მაგალითმა სოციალისტური რევოლუციის სასარგებლოდ გადაწყვიტა ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა — გლეხობის გადაყვანა სოციალიზმის რელსებზე, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა მუშათა და გლეხთა კავშირი.

სოციალისტური საკუთრების გამარჯვება მთელ სახალხო მეურნეობაში ერთტიპიური სოციალისტური საკუთრების გამარჯვების ნიშნავდა. კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საკუთრება ერთტიპიურია საყოველთაო-სახალხო საკუთრებასთან იმიტომ, რომ ორივე ფორმა გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, უარყოფს წარმოების საშუალებებისადმი ადამიანთა განსხვავებულ დამოკიდებულებას.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის შინაგანი რესურსების გამოყენებით კოლსალურად გაიზარდა სოციალისტური საკუთრება. ქვეყნის ძირითადი საწარმოო ფონდები, რომლებშიც 90 პროცენტზე მეტი საყოველთაო-სახალხო კუთვნილებაა, 1957 წლისათვის თითქმის 15-ჯერ გაიზარდა 1913 წელთან შედარებით. კოლმეურნე გლეხობაც აქტიურად მონაწილეობდა საყოველთაო-სახალხო საკუთრების გაზრდაში. კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ოდენობა 1932 წელს 4,7 მილიარდ მანეთს შეადგენდა, 1938 წლის 1 იანვრისათვის კი მან 100 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. საკოლმეურნეო საკუთრების ამ გიგანტურ ზრდაში გამოჩნდა საბჭოთა სახელმწიფოს, მუშათა კლასის მატერიალური მხარდაჭერის უდიდესი როლი და მნიშვნელობა. საკუთრების ორი ფორმის ზრდა კი მოხდა არა ერთ-ერთის, მაგალითად, საკოლმეურნეო საკუთრების შემცირების გზით, არამედ ამ ორი ფორმის ისეთი თანამშრომლობით, როცა წამყვანი და ხელმძღვანელი როლი ყოველთვის სახელმწიფო საკუთრებას ეკუთვნოდა.

საკოლმეურნეო წყობამ განვითარების მეტად დიდი გზა განვლო. ამჟამად იგი განვითარების ახალ საფეხურზე იმყოფება. ამ საფეხურის დამახასიათებელია ის, რომ გამსხვილებული კოლმეურნეობანი სახელმწიფოს მხრივ ყოველმხრივი დახმარების შედეგად იქნენ ეკონომიურად უფრო ღონიერ, მრავალდარგოვან, ტექნიკურად აღჭურვილ მეურნეობებად, რომლებსაც ჰყავთ მემინდვრეთა, მეცხოველეთა, მექანიზატორთა, აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა და სხვა სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები. მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი, გაუმჯობესდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა. ამ ცვლილებებმა მოითხოვა სოფლის მეურნეობის მართვის საქმეში სათანადო სიახლის შეტანა.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ შეცვლილ ვითარებაში აუცილებელია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მართვის მუდმივი სრულყოფა, ამასთან ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არა მართვის ფორმა განსაზღვრავს საკუთრების ხასიათს, არამედ საკუთრება განსაზღვრავს მართვის ხასიათს.

საკუთრების სოციალისტური ტიპის გამარჯვება მისი ორი ფორმით გამორიცხავს მათ შორის კონფლიქტის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, განვითარების ცალკეულ ეტაპებზე საკუთრების ორი ფორმის ურთიერთდამოკიდებულებაში ადგილი აქვს არაანტაგონისტურ შეუსაბამობებს. ასეთ შეუსაბამობათა თავიდან აცილება მოითხოვს საკუთრების მართვის სწორი მეთოდის პოვნას. სხვანაირად კონსერვატიზმი სამეურნეო ელმძღვანელობის საკითხში, მართვის წარსულში სწორი, მაგრამ შემდეგ მოძველებული მეთოდების დაკანონება მხოლოდ ზიანს მიაყენებს სოციალისტური საწარმოო ძალების განვითარებას.

ამგვარი შეუსაბამობა აღმოჩნდა სწორედ უკანასკნელ წლებში მტს-ების გზით კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ფორმა, რომელიც აღარ შეესაბამებოდა სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების განვითარების დონეს.

მანქანა-ტრაქტორთა საადგურებმა თავისი დროზე უდიდესი როლი შეასრულეს საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში. თანამედროვე ეტაპზე კი კოლმეურნეობათა საწარმოო-ეკონომიური მომსახურება მტს-ების საშუალებით აღარ შეეფერება საკოლმეურნეო წყობის განვითარების მოთხოვნებს. სწორედ ამ პრინციპული ხასიათის ცვლილებებიდან გამოდიოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმი, როცა საყოველთაო-სახალხო განხილვის საგნად დააყენა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა საადგურების რეორგანიზაციის საკითხები. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულმა ღონისძიებებმა ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა მშრომელებში. სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით მიიღო ისტორიული კანონი „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა საადგურების რეორგანიზაციის შესახებ“.

ამ კანონის საფუძველზე ის კოლმეურნეობები, რომლებსაც დიდი შემოსავალი და საგრძნობი განუყოფელი და საწარმოო ფონდები აქვთ, ამასთან მაღალკვალიფიციური კადრები ჰყავთ, — ძძენენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას სახელმწიფოსაგან. ამ გზით კოლმეურნეობები უფრო ეფექტიანად გამოიყენებენ რთულ ტექნიკას, ვიდრე მას მანქანა-ტრაქტორთა საადგურებში იყენებდნენ. წარმოების ორგანიზატორებად თვით კოლმეურნეობის გამოსვლა უზრუნველყოფს მდიდარი ტექნიკისა და მუშახელის რაციონალურ გამოყენებას, ტექნიკის მიმართ უყაირათობის აღმოფხვრას, სამმართველო აპარატის ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას, კოლმეურნეობათა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ გაშლას.

როცა ვლადიმერ ილიჩ ლენინი ამბობდა, „ეკონომიკურ ბაზისზე ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავძლიოთ ჩამორჩენა წველადობაში

ხაშურის რაიონის მოწინავე ოლმეურნეობებში ერთგვარ ად უმჯობესდა საზოგადოებრივი ორუტყვის ჯიშობრივი შემადგენობა და მოვლა-პატრონობა, იძა პროდუქტიულობამაც. მაგაითად, სოფელ ახალშენის კოლეურნეობაში რძის წარმოება 958 წლის პირველი ივნისისაის გასული წლის შესაბამის პეიოდთან შედარებით 384 ლიტით გაიზარდა. წველადობა გაარდეს ულუმბის, კაკალათხევის, ბარების, ხცისის, გვერდისუბნის, ტარა ახალსოფლის და სხვა ოლმეურნეობებმა. მაგრამ საერეოდ ხაშურის რაიონში საზოგაოებრივი მეცხოველეობის განითარება სერიოზულად ჩამორება. არ სრულდება წველადობის ეგმები.

ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ს, რომ ბევრ კოლმეურნეობაში ათანადო ყურადღება არ ექცევა ერძეული პირუტყვის მოვლა-პაერონობას, არ ქმნიან მტკიცე საეებ ბაზას, მეწველ ძროხას კუად კვებავენ. სოფელ გომის ოლმეურნეობაში (თავმჯდომარე კუბლაშვილი) პირველი ივნისისთვის წველადობამ გასული ლის შესაბამის პერიოდთან შეარებით 194 ლიტრით იკლო. ოლმეურნეობას 72 პროდუქტილი ძროხა ჰყავს, მათ შორის 21 ელის წითელი ჯიშისა, მაგრამ უდი მოვლა-პატრონობის შედეად ჯიშიანი და ადგილობრივი როხები ცოტა რძეს იძლევიან. ოლმეურნეობის გამგეობა და არტიული ორგანიზაცია გადამჭელ ზომებს არ იღებენ პირუტყის ნორმალური მოვლისა და კვეის უზრუნველსაყოფად. ძროხეის სადგომ ბინაში მოუწყობია ია ავტოსარწყულებლები, ფერის გარშემო აუარებელი ნაკია, პირუტყვი შიგ ეფლობა, მაგამ ნაკელის გატანისათვის თავს რავენ იწუხებს. ფერმაში მწყემების დენადობაა. კოლმეურნეწყემსმა იპოლიტე ელბაქიძემ ვითნებურად მიატოვა ფერმა, აგრამ მისთვის პასუხი არავის ოუთხოვია.

გომის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია და მისი მდივანი ი. ხეთაგური სუსტად იბრძვიან ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. პარტიული ორგანიზაციის მიერ მიღებული დადგენილებანი ფორმალურია.

1958 წლის 22 იანვარს პარტიულმა კრებამ განიხილა რაიონის პარტიული კონფერენციის დადგენილება და შესაბამისი ღონისძიების ერთ-ერთი მუხლით დავალება მისცა კოლმეურნეობის გამგეობას გადაჭრით გაეუმჯობესებინა ფერმის ძროხების კვება. მაგრამ ნაკლი არ გამოსწორდა. ძროხებს ახლაც ცუდად კვებავენ.

23 აპრილს პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელა წინა პარტიულ კრებაზე მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე. კრებამ ამჯერად გამოიტანა დადგენილება მეცხოველეობის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შესახებ. დავალება მისცა აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პ. კუბლაშვილს ორი კვირის ვადაში მოეწყო ფერმაში ნაკელის გასატანი საბაგირო გზა, დაემთავრებინა ნაკელსაცავის მოწყობა, დაედგა ფერმაში საკვების ასაწონი სასწორი. მაგრამ დადგენილება ახლაც არ არის შესრულებული. გომის კოლმეურნეობაში მატების ნაცვლად თანდათანობით კლებულობს წველადობა. მაგალითად, პირველ ივნისს მწველავმა ანეტა შუმლაძემ 13 ძროხაზე, რომლებსაც იგი უვლის, მიიღო 55,6 ლიტრი რძე, ცხრა ივნისს კი — 36,8 ლიტრი.

წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სოფელ მიწობის კოლმეურნეობაში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე წველადობა 120 ლიტრით შემცირდა. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ძროხების წველადობა თაგვეთის, ვაყის, ცხრამუხის, ცედნის, უწლევის, წაღვლის, ყობის და სხვა კოლმეურნეობებში.

წაღვლისა და ყობის კოლმეურნეობებში ასეთი ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ პირუტყვი მოთავსებულია არაწესიერ ბინებში, ამასთან ზამთრის განმავლობაში აშიმშილებდნენ ძროხებს.

სოფელ ალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გასული წლის შემოდგომაზე დაიტაცეს და გაანიავეს საქონლის საკვები, პირუტყვი მშიერი დატოვეს. რამდენიმე ხნის წინათ აქ შეიქმნა საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ალის კოლმეურნეობაც შეუერთდა. კოლმეურნეობიდან საბჭოთა მეურნეობას გადაეცა დაჯანდაკებული ძროხები. ამიტომ არის, რომ განვლილ პერიოდში ალის საბჭოთა მეურნეობაში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია მხოლოდ 144 ლიტრი რძე.

რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში წველადობის მატების საჩვენებლად მიმართავენ თვალისახვევასაც. მაგალითად, სატის კოლმეურნეობიდან წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე განვლილ პერიოდში წველადობაში მატება თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 86 ლიტრია. ამ კოლმეურნეობაში აპრილში მიღებულად უჩვენებენ 8.090 ლიტრ რძეს, ხოლო 3.291 ლიტრი გაწერილია ხბოების კვებაზე, მაშინ როცა ხბოების კვებისათვის ხაშურის ყველ-კარაქმრეწვის მთავარი ქარხნიდან კოლმეურნეობას მიღებული აქვს მოხდილი რძე.

პარტიის ხაშურის რაიკომმა და რაიისაბჭოს აღმასკომმა 7 ივნისს თათბირზე დავალება მისცეს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს პირუტყვისათვის გამოიყენონ უკვე ცვილისებრ სიმწიფეში შესული ქერის ყანები, მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ამ დავალების შესრულებას აგვიანებენ.

მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდება იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გავუსწოროთ ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ იმას გვავალებს, რომ არ უნდა გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა.

ვ. გურგენიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

შეხვედრა პირველ ქართველ მეფოლადეებთან

რუსთავი. (ხაკ. კორ.). ამ დღეებში რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ მეტალურგები, მეცემენტეები, მეაზოტეები, მშენებლები, მოსწავლეები. მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს პირველ ქართველ მეფოლადეებს შ. კუხალეიშვილს, ვ. ჭაბაშვილს, გ. სიგუას, შ. შუბითიძეს, ა. ზარიძეს, პ. ბაირაკოვს და სხვებს.

შეხვედრაზე მოხსენებით გამოვიდა ამერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი კ. ლეკავა. მან აღნიშნა, რომ 1950 წლის 27 აპრილი რუსთავის ისტორიაში შევიდა როგორც მნიშვნელოვანი თარიღი. ამ დღეს ჩამოსხმულ იქნა პირველი ქართული ფოლადი. კ. ლეკავამ ვრცლად ილაპარაკა პირველი ქართული ფოლადის ჩამოსხმის, ხოლო შემდეგ ქარხნის ზრდისა და განვითარების საქმეში პირველი ქართველი მეფოლადეების წვლილის შესახებ.

დასასრულ შეხვედრის მონაწილეებმა ნახეს რუსთავის ცხოვრების ამსახველი კინოსურათი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“.

ხილ-ბოსტნეულის ახალი მოსავლის კონსერვები

დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართული ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები. შარშან საქართველოს საკონსერვო საწარმოებმა დამზადეს 89,6 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი. ისინი გაიგზავნა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. წელს ნავარაუდევია დამზადდეს 90,5 მილიონი ქილა.

საკონსერვო საწარმოებმა უკვე დაიწყეს ახალი მოსავლის ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება. სამტრედიის საკონსერვო კომბინატი 19 მაისიდან შეუდგა მურაბის დამზადებას ხენდოსაგან, რომელსაც რაიონის კოლმეურნეობები საგან იღებს. უკვე გამოშვებულია 167.000 პირობითი ქილა ხენდროს მურაბა და ჯემი, 10 ტონა გაყინული ხენდრო. ქუთაისის საკონსერვო ქარხანამ უკვე გამოუშვა 306.000 ქილა მწვანე ცერცველას კონსერვი.

გორის საკონსერვო ქარხანა დიდი რაოდენობით დაამზადებს ახალი სახის პროდუქციას—საბავშვო კონსერვს: ვაშლის პიურეს ბრინჯით და შავქლიავის პიურეს. აქვე მექანიზებული იქნება ბოსტნეულის კონსერვების დასამზადებელი ორი ხაზი. მეჯვრისხევისა და შინდისის ხილის სახმობ ქარხნებში დაიდგმება ვაშლის სათლელი ახალი მანქანები. წელს ხილის სახმობი და დასპირტული ხილის წარმოება მოეწყობა საქართველოს შაქრის კომბინატში (აგარა). სამტრედიის საკონსერვო კომბინატში დაიდგმება ნახევრად ავტომატიზებული ხაზი ტომატპასტის წარმოებისათვის. ბათუმის ციტრუსკომბინატში დაიდგმება სწრაფმაციებელი აპარატი. იგი იმუშავებს ხურმისა და სხვა ხილის გაყინვაზე.

სეზონის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 6 ვაგონიანი მატარებელი — მაცივარი, რომელიც ხილს გადაიტანს სხვადასხვა ქარხნებში გადასამუშავებლად. ეს საგრძნობლად შეამცირებს დანაკარგებს.

ესპანელი მწერლის პიესა თელავის თეატრის სცენაზე

ესპანეთში სამოქალაქო ომის დაწყების ერთი თვის შემდეგ, 1936 წლის ზაფხულში, მოხდა ბორტომოქმედება, რომელმაც მთელი ცივილიზებული მსოფლიო შეაშფოთა. გრანადის ფაშისტმა ხელისუფლებმა დახვრიტეს გამოჩენილი ესპანელი პოეტი და დრამატურგი ფედერიკო გარსია ლორკა, რომელსაც ესპანეთის მოწინავე საზოგადოებრიობა თავის მედროშედ, თავის იმედად თვლიდა.

ლორკას მთელი არსებით სძულდა თავისი თანამედროვე ესპანეთის საზოგადოებრივი წყობილება. იგი მოითხოვდა ადამიანის სოციალურ განთავისუფლებას. უზეკნებდა რა თავისი გმირების სულიერ დრამას, პოეტი ამხილებდა იმ სოციალური ბორტების მიზეზებს, რომელიც ამანიჭებდა მათს ცხოვრებას, დალუპვას უქადდა მათ. მთელი თავისი შემოქმედებით ლორკა მიისწრაფოდა სიმართლისაკენ, კაცობრობის პროგრესისაკენ, რომელიც ასე სწამდა თავისი ტრაგიკულად შეწყვეტილი სიცოცხლის ბოლომდე. დიდი გაქანების შემოქმედი — პოეტი, მუსიკოსი, ფერმწერი ლორკა მეტისმეტად მკაფიოდ გრძნობდა თავისი ეპოქის ტრაგიკულ სულისკვეთებას. ძალადობისა და სიკვდილის გარდუვალობა საზოგადოებაში, სადაც ყოველ ნაბიჯზე უსაშინელესი ცრურწმენანი არსებობენ და გამეფებულია სრული სოციალური უთანასწორობა, მწერალმა ღრმად ასახა თავის ნაწარმოებებში.

ლორკას ერთ-ერთი საუკეთესო პიესა-ტრაგედია „სისხლიანი ქორწილი“ ამას წინათ განახორციელა თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის თეატრმა. ახალმა სპექტაკლმა დიდი ინტერესი გამოიწვია თელავის საზოგადოებრიობაში. საესე დარბაზი, მაყურებელთა ცოცხალი რეაქცია იმის ნათელი დადასტურება იყო, რომ თეატრმა შეძლო მაყურებლისათვის გასაგები გაეხადა ესპანელი დრამატურგის ქმნილება, მისი ფიქრები და გრძნობები.

როცა ამ ღრმად ემოციურ სპექტაკლს ვიხსენებთ, პირველ რიგში მინდა დამდგმელს — რეჟისორ თენგიზ მაღალაშვილს შთაგონებული ნამუშევარი წარმოვიდგინა თვალწინ. ახალგაზრდა რეჟისორის თავაკ მიღწევად ის მიგვაჩნია, რომ მან შეძლო შემოქმედებითი მღელვარებით აღენთო თეატრის მთელი კოლექტივი. მსახიობები გაიტაცა ესპანელი გლეხობის ცხოვრების ტრაგიკულმა ამბავმა, რომლის სულიერი წყობა, ეროვნული ხასიათი, ზნეჩვეულებანი ასე ახლოს დგას ქართველი ხალხის სულთან. რეჟისორმა შექმნა დაძაბული, შინაგანი მღელვარებით აღსავსე სპექტაკლი, რაც ძლიერ შეეხატყვისება ლორკას შემოქმედებას. თ. მაღალაშვილი ღრმად ხსნის თვითეული სცენის არსს, ბერწვეს გამომსახველ, ეფექტურ მიზანსცენებს. მაყურებელი შეუნელებელი ყურადღებით აღევნებს თვალყურს მოქმედების დინამიკურ განვითარებას. სპექტაკლის მთელი რიგი სცენები (გარიგების სცენა — I მოქმედების მესამე სურათი, საქორწინო მსვლელობა II მოქმედებაში, მკვლელობის სცენა ტყეში და სხვ.) თავისი მაღალი ემოციური ეღერადობით ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებენ.

სარეცენზიო სპექტაკლი იმითაც არის დამახასიათებელი, რომ მასში ჰარმონიულად შერწყმულია რეჟისორის, მხატვრისა და კომპოზიტორის ნამუშევარი.

სპექტაკლის გაფორმება იკუთვნის მხატვარ რ. თარხან-მოურავს. გონებამახვილურად გადაწყვეტილი კონსტრუქცია, სადა დეკორაცია, ძუნწი, ამავე დროს მეტყველი დეტალები, კოსტიუმები, რომლებიც თვითეული პერსონაჟის ხასიათს გამოხატავენ — ყოველივე ეს შესაფერ ფონს ქმნის ამ ტრაგედიისათვის.

სპექტაკლის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა კომპოზიტორ ირაკლი გეჯაძეს. დრამატული და დაძაბული, ზოგჯერ ნაღვლიანი, ზოგჯერ ცოცხალი და გამომწვევი, მაგრამ თავის არსში მოდამ ტრაგიკული მისი მშვენიერი მუსიკა საუკეთესოდ გადმოსცემს ლორკას ნაწარმოების სულისკვეთებას.

მაგრამ ვთქვათ მსახიობებზეც. რადგან, როგორც ცნობილია, თეატრი ეს მაინც მსახიობია.

რეჟისორმა თელავის თეატრში იპოვა ლორკას პიესის ცენტრალური გმირის— დედის შესანიშნავი განმასახიერებელი.

თინათინ ბურბუთაშვილმა შექმნა ესპანელი დედის ეშმარიტად დაუფუძყარი სახე. ეს იშვიათი ემოციური გზნებისა და შინაგანი სიმართლის მსახიობი სცენაზე ეგმოჩენისთანავე მთლიანად იპყრობს მაყურებელს, მისი ბოლომდე გჯერათ. გზიბლავთ მისი ეშმარიტად ესპანური სიამაყე და კეთილშობილება, მისი შეუდრეკელი, გმირული სული, მისი დაუცხრომელი სიძულვილი ყოველგვარი ძალადობისა და მკვლელობისადმი. უშფალობა და ტრაგიკული პათოსი — აი ის ორი ძირითადი ფერი, რომელსაც ხმარობს მსახიობი თავისი გმირის სულიერი სახის გამოსაძერწავად. სცენის შესანიშნავი ოსტატის მიერ შექმნილი ეს სახე ქართული თეატრის შემოქმედებითი გამარჯვებაა.

ახალგაზრდა მსახიობს ლამარა არსოშვილისათვის სპეტაკლის როლი სადებიუტო როლია. რეჟისორს ბევრი უმუშავნია მსახიობთან ერთად ამ წინააღმდეგობრივ, მეტად პასუხსაგებ სახეზე, რომელიც მსახიობისაგან დიდ შინაგან მღელვარებასა და ტემპერამენტს მოითხოვს. სიამოვნებით უნდა ვთქვათ, რომ ახალგაზრდა მსახიობმა ძირითადად უთუოდ დაძლია მის წინაშე მდგომი ამოცანა. და თუ მას ზოგჯერ ჯერ კიდევ არ ეყოფნის ტრაგედიისათვის საჭირო შინაგანი ძალა, სამაგიეროდ გარეგნულად მისი მსუბუქი პლასტიკური სილუეტი, თავისებური, ორიგინალური გარეგნობა საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს.

თავის გრძნობებში მეტად უშუალო, ვაჟკაცური, ამავე დროს გულუბრყვილო — ასეთია საქმრო ნიჭიერი მსახიობის ალექსი კუპატაძის შესრულებით.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ჩელთისპირელი (სარძლის მამა) ქმნის ესპანელი გლეხის კოლორატულ პორტრეტს.

ბიოვნების თავისუფლებისათვის, ეშმარიტი სიყვარულისათვის ბრძოლის განმსახიერებელია ლორკას პიესაში ლეონარდოს სახე. ეს ტრაგიკული, უსაზღვროდ ემოციური ხასიათი სამწუხაროდ ვერ დაძლია რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა პ. აკვლედიანმა. მისი ლეონარდო უხეში, სულიერად ტლანქი — ყაჩაღს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე სიყვარულით გახელებულ მეჯნურს.

აღსანიშნავი არიან ქ. ქევლიშვილი (სიდედრი), მ. დადაშვილი (მოსამსახურე), მ. ახვლედიანი (ცოლი), ქ. მაჭავარიანი (მეზობელი).

სპექტაკლი „სისხლიანი ქორწილი“ თელავის თეატრის სერიოზული შემოქმედებითი გამარჯვებაა. მისი შემქმნელების გაბედული, შთაგონებული ხელოვნება ახალ მნიშვნელოვან წარმატებათა საწინდარია.

ლ. ბაგრატიონი.

• • •

სურათზე: ფინალური სცენა თელავის თეატრის სპექტაკლიდან „სისხლიანი ქორწილი“.

რაჭულ-ლეჩხუმური ჯოვონიმიკური მასალები

დოცენტმა მიხეილ ალავიძემ შეადგინა „ქვემორაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი“. მასში მოთავსებულია ამბროლაურის რაიონის გეოგრაფიული ადგილების (სახნავ-სათესი მიწა, ჭინახი, მთა, გორაკი, ტყე, კლდე, სითბილი, მინდორი, მდინარე, ღელე, წყარო...) სახელწოდებანი. შრომა ქვემო რაჭის ყველ (50) სოფლის ლექსიკური მარაგის ასახვაა. იგი შეიცავს ავტორის მიერ ჩაწერილ 700-ზე მეტ სიტყვას, რაც საჭირო და ფეიერადი მასალაა ქართული ტოპონიმიკის შესწავლისათვის. ლექსიკონს დართული აქვს ქვემო რაჭის სოფლებისა და მცხოვრებთა ჯვარების სია.

შრომაში „ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი“ განხილულია თხზული და წარმოქმნილი სტატიკი. ავტორი არკვევს სვანურ და ზანურ ენათა გავრცელების არეს ისტორიულად და მათს ადგილ ლეჩხუმურზე.

მ. ალავიძის რაჭულ-ლეჩხუმური ტოპონიმიკური მასალები დაბეჭდილია ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომებში“ (ტ. XVII, XVIII) და გამოცემულია ცალკე ამონაბეჭდად.

„საბჭოთა ხელოვნება“ № 3

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“, მესამე ნომერი. ჟურნალი იხსნება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მეჟანაძის წერილით — „ქართველი ხალხის კულტურის დღესასწაული“. წერილი დაწერილია მოსკოვში ამას წინათ ჩატარებულ ქართული ხელოვნების და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით. ჟურნალში დაბეჭდილია „ბრავდის“ 1958 წლის მარტის მოწინავე სტატია.

ჟურნალი აქვეყნებს წერილებს ახალგაზრდა ქართველი რეჟისორებისა და კინომსახიობების შესახებ.

ჟურნალში დაბეჭდილია ო. ეგაძის, მ. ვაჩნაძის, ნ. ურუშაძის, მ. კვალაშვილის, ე. ძიძაძის, რ. ჩხეიძის, ნ. ჯანბერიძის, ვ. კოკნაძის, ე. დავითაიას და სხვების წერილები.

ჩანართების სახით დაბეჭდილია მხატვრების დ. კაკაბაძის, კ. სანაძისა და პ. შევჩენკოს სურათების რეპროდუქციები და მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის ამსახველი მრავალი ფოტოსურათი.

ქართველ მხატვართა ნამუშევრებს გაეცნენ რიგელები

ერთ თვეს იყო რიგის ხელოვნების მუზეუმის დარბაზებში გახსნილი ქართველ მხატვართა ნამუშევრების ხელოვნად გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერის, ქანდაკების და გრაფიკის 600-ზე მეტი ექსპონატი, როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის წარმომადგენელთა ნამუშევრები.

რიგის მშრომელებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართველ მხატვართა ნამუშევრებს. შთაბეჭდილებათა წიგნში არა ერთი მოწონების აღმნიშვნელი ფურცელი ჩაწერა. ამ დღეებში გამოფენის დასურვასთან დაკავშირებით ქართველ მხატვართა ნამუშევრების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად რიგაში გაემგზავრნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ქ. მაღალაშვილი და ა. ბანძელაძე.

ქართველ მხატვართა სადეკადო ნამუშევრები მალე გაიგზავნება ტალინში, შემდეგ კი უკრაინაში.

ზაფხულში პირუტყვის ბაგურ კვებაზე გადაყვანის პირველი შედეგები

უკანასკნელ წლებში ბოლნისის რაიონის მეცხოველეებმა მაღალ მოსავლიანობას მიაღწიეს. ამ მხრივ აღსანიშნავია სამეული სამეურნეო წელი. შარშან წინა წლთან შედარებით საშუალოდ ერთ ფუტრაქეზე ძროხაზე წველადობა 134 კილოგრამით გაიზარდა, ხოლო საერთო წველადობა — 4.532 ცენტნერით. დიდად გაიზარდა ფუღალი შემოსავალი ეცხოველეობიდან.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში წარმატება მოიპოვა სოფელ მუსოფრიანის კოლმეურნეობა „კოკალთრმა“ (თავმჯდომარე ა. ინანოვი). საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულ 1.419 კილოგრამი რძე და ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოებს 171 ცენტნერი რძე, 88 ცენტნერი ხორცი, 671 კილოგრამი მატყლი. კოლმეურნეობის მოწინავე მწველავმა სონა ალიევამ ყზიმ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 3.286 კილოგრამი რძე მიიღო. ასეთი ფაქტები რაიონში ბევრია.

ამ წარმატებებს რაიონში იმით მიაღწიეს, რომ გაუმჯობესეს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, საკვები ბაზა და მოვლა-პატრონობა. ახლა რაიონში ძროხების 50 პროცენტი მაღალპროდუქტიულია. წელს დასახულია ღონისძიებები პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაღალპროდუქტიული პირუტყვი ვერ ეგუება ხანგრძლივ მგზავრობას, მთაგორიანი რელიეფს, ჰავის არახელსაყრელ პირობებს, ხოლო სახაფხულო სამთვრებე წვლილდობის გაზრდის მიზნით საჭიროა პირუტყვის დამატებითი კვება ოგორც მწვანე მასით, ისე კონცენტრატებით. ზედმეტი მოძრაობა გავლენას ეფენს როგორც ორგანიზმზე, ისე პროდუქტიულობაზე. მაგალითად, ბოლნისი ან დმანისის სახაფხულო სამთვრებზე ადარეკილს თვითეული ძროხა წონა 50 კილოგრამს იკლებს. ცხადია, წველადობაც მცირდება. მაღალპროდუქტიული პირუტყვი სახაფხულო სამთვრებე შენახვისას 300-400 ლიტრით ნაკლებ რძეს იძლევა, ვიდრე ბაგურ-ბანაური შენახვის პირობებში.

რაიონის კოლმეურნეობებმა ეს კარგად გათვალისწინეს. გადაწყვიტეს მაღალპროდუქტიული ძროხები ბაგურ კვებაზე დაეყენებინათ. საკითხი შეისწავლა სპეციალურმა კომისიამ. გადაწყდა ბაგურ კვებაზე გადაეყვანათ 1.200 ძროხა. ამ ძროხებს მაისიდან ოქტომბრამდე დასჭირდებათ 800-900 ტონამდე მწვანე მასა. საამისოდ გამოჰყვეს 95 ჰექტარი ქერის ნათესები, 390 ჰექტარი სიმინდის, 93 ჰექტარი ნთესი ბალახის და სოიის ნათესი და 500 ჰექტარი სთობი. კოლმეურნეები ვარაუდობენ ყოველ ჰექტარზე 100 ცენტნერი პურისა და ქერის, 200 ცენტნერი სიმინდის, 70 ცენტნერი ნთესი ბალახის მწვანე მასის მიღებას. ამას დაემატება სოიისა და სათობების მწვანე მასა. თუ ყოველ ჰექტარზე ამდენ მასას მივიღებთ, მაშინ ბაგურ კვებაზე გადაყვანილი პირუტყვისათვის 10.000 ტონა მწვანე მასა გროვდება, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ხუთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად თვითეულმა ძროხამ 50-70 კილოგრამი მწვანე მასა მიიღოს.

პირუტყვის ბაგური შენახვის ეფექტიანობაზე მეტყველებს დაბა ბოლნისის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ა. ხიდაშელი) დადებითი გამოცდილება. კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა ლამარა იმერლიშვილმა აგვიხსნა: ბაგურ კვებაზე ძროხების დაყენებამ და ხორბლის მწვანე მასით გამოკვებამ წველადობა საგრძნობლად გაზარდა. თუ 8 მაისს, როცა პირველად დაიწყეს მწვანე მასით კვება, წველადობა 1.050 ლიტრს შეადგენდა, 9 მაისისათვის 80 ლიტრით გაიზარდა, 11 მაისს 1.348 ლიტრს მიაღწია, 13 მაისს— 1.521, 16 მაისს — 1.668, 18 მაისს — 1.751, 22 მაისს — 1.807, ხოლო 24 მაისს 2.000 ლიტრს. 9 მაისიდან მთელ ამ პერიოდში თვითეული ძროხის ყოველდღიური წველადობა 7 ლიტრით გაიზარდა.

როგორც ცნობილია, მაისში წველადობა მატულობს. ამიტომ კოლმეურნეობაში წველადობის მატება შეიძლება ნორმალურად მიიჩნიონ. მაგრამ ეს ასე არ არის. გასული წლის მაისში, როცა კოლმეურნეობაში პირუტყვი ბაგურ კვებაზე არ ჰყავდათ გადაყვანილი, წველადობა მომატების ნაცვლად შემცირდა. მაგალითად, მაისის მეორე ათდღიურში ფერმაში წველადობამ 80 ლიტრით იკლო, წელს იმავე პერიოდში კი 284 ლიტრით გაიზარდა. ამრიგად, პირუტყვის ბაგური შენახვა და მწვანე მასით გამოკვება წველადობის გაზრდის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

ბაგურ კვებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ფერმაში დღის განაწესი შეიცვალა. ახლა ძროხებს დღეში სამჯერ წველიან, ორჯერ (დილას და საღამოს) ჰაერზე გაჰყავთ. ფერმაში ყოველთვის იცავენ ჰიგიენურ ტემპერატურას, ყოველ ძროხას აძლევენ 50-70 კილოგრამ მწვანე მასას და პროდუქტიულობის მიხედვით 3-4 კილოგრამ კონცენტრირებულ საკვებს. სარწყულებლებში ყოველთვის საკმარისი წყალია. ფერმაში სან

უშიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭომ განიხილა ლიბანის მთავრობის საჩივრისი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

პირველი გამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელი ლუტფი.

ლუტფიმ ცხადყო, რომ ლიბანის საქმეებში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჩარევის ეგრეთწოდებული „ფაქტები“, რომლებიც მოყვანილი იყო საბჭოს წინა სხდომაზე ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრის მალიქის მიერ, უაღრესად არადამაჯერებელია.

ლუტფიმ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიბანის ამბები ამ ქვეყნის საშინაო საქმეა და რომ ლიბანელი ხალხის უკმაყოფილება ახლანდელი მთავრობით სრულიადაც არ არის გამოწვეული არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის „ჩარევით“. მან მწუხარება გამოთქვა, რომ ლიბანი — არაბთა ერთ-ერთი სახელმწიფო — კვლავ ბრალად სდებს არაბთა მეორე სახელმწიფოს — არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას რაღაც „ძირგამომთხრელ საქმიანობას“ მის წინააღმდეგ.

შემდეგ ლუტფი დაწვრილებით შეეხო ლიბანის საჩივრის განხილვას არაბთა ქვეყნების ლიგის საბჭოს სხდომაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბთა ქვეყნების ლიგის თითქმის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა ლიგის რეზოლუციას, რომელიც შეიძლება დახასიათდა ურთიერთობის მოწესრიგებას ლიბანსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის. ლიბანის მთავრობის წარმომადგენელთა უარყოფითმა პოზიციამ ხელი შეუშალა არაბთა ქვეყნების ლიგას ეცადა დადებითად გადაეჭრა არსებული კონფლიქტი. არაბთა ქვეყნების ლიგის მოწოდება, განაცხადა ლუტფიმ, ლიბანმა არ მიიღო. პირიქით ლიბანის მთავრობა მოითხოვს, რომ მისი საჩივარი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ განიხილოს უშიშროების საბჭომ. ლიბანის მთავრობის ასეთი პოზიცია, თქვა დასასრულ ლუტფიმ, ტენდენციური პრობაგანდაა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ლიბანის მთავრობის ასეთი პოზიციის მიზანია მისწრაფება — გამოიყენოს უშიშროების საბჭო, რათა ლიბანის საშინაო საქმე გადააქციოს საერთაშორისო დავად.

ლიბანის ამბები

ბეირუთი, 10 ივნისი. (საკდესი). ლიბანის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ გასულ დღე-ღამეში ლიბანის არმიის ქვეგანაყოფები დაზვერვითს ოპერაციებს აწარმოებდნენ ლიბანის სხვადასხვა რაიონებში.

ჩრდილოეთ ლიბანში ძლიერი ბრძოლები მოხდა ქალაქ ჰალბის ახლოს, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ლიბანის ავიაციამ.

ბეირუთში გუშინ გრძელდებოდა გაფიცვა.

ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარი თურქეთის სანაპიროზე გადასხვეს

ნიუ-იორკი, 10 ივნისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ბატალიონი გადასხდა თურქეთის სანაპიროზე ქალაქ დიკილისთან.

ეს შეესაბამება იმ გეგმას, რომ მოეწყოს „სასწავლო საბრძოლო ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეიძლება უბრძანონ ამერიკის შეერთებული შტატების მთელ მე-6 ფლოტს“.

საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები, იუწყება კორესპონდენტი, გადასხდნენ ჰელიკოპტერებისა და კანჯოების საშუალებით, თან გადაიტანეს ტანკები და სხვა მძიმე თვითმავალი ტექნიკა ფლოტის 11 სამხედრო ხომალდიდან, რომლებიც სანაპიროსთან ახლო დგანან.

დამატებითი ასიგნებანი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მშენებლობისათვის

ნიუ-იორკი, 10 ივნისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი გაშინგტონიდან იუწყება, რომ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კონგრესს მიმართა თხოვნით, რომ გამოყოს დამატებით 2.344 მილიონი დოლარი. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ თანხის მეტი ნაწილი განკუთვნილია სამხედრო მშენებლობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ ჯარებს პირაღლებენ ბაქტერიოლოგიური იარაღით

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. (საკდესი). ჟურნალი „ნიუსუიკი“ უკანასკნელ ნომერში იტყობინება, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების არმია ფარულად აღიჭურვებს სამწყობრო ჯარებს სპეციალური ჭურვებით რაკეტებისა და არტილერიისათვის, რომლებსაც შეუძლიათ წელში გასტეხოს, მწყობრიდან გამოიყვანოს ან მოკლას მოწინააღმდეგე ახალი ქიმიური და ბაქტერიოლოგიური საშუალებების დახმარებით“.

„სამხედრო ექსპერტებს, — აცხადებს ჟურნალი, — სურთ ეს ახალი იარაღი მზად ჰქონდეთ საპასუხო მოქმედებისათვის“.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 10 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დღეს განაგრძობს მუშაობას. გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ გუშინ „დილის სხდომაზე, რომელიც ეტიენ ფაჟონის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, ვალდეკ როშემ გააკეთა მოხსენება ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობისა და იმ დიდი ამოცანების შესახებ, რომლებიც მისგან გამომდინარეობენ პარტიისათვის, მუშათა კლასისა და მთელი ფრანგი ხალხისათვის. ამის შემდეგ დაიწყო მოხსენების განხილვა. განხილვა გაგრძელდა ნაშუადღევს სხდომაზე, „რომელიც ლეონ მოვეს თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა“.

„ლუმანიტე“ ხაზს უსვამს, რომ პლენუმი იხილავს „სერიოზულ ვითარებას, რომელიც შეიქმნა დე გოლის პირადი დიქტატურის დამყარებით“.

საფრანგეთის რესპუბლიკური წყობილების დასაცავად

პარიზი, 10 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის ბევრ დეპარტამენტში ფართოვდება რესპუბლიკურ თავისუფლებათა დაცვის კომიტეტების აქტიური მუშაობა. ასეთი კომიტეტები შეიქმნა საფრანგეთის 30-ზე მეტ დეპარტამენტში. კომიტეტებში გაერთიანებული არიან კომუნისტები, სოციალისტები, რადიკალები, კათოლიკურ ორგანიზაციათა წევრები, სხვადასხვა პროფკავშირის წარმომადგენლები.

რესპუბლიკის დაცვის კომიტეტმა ლო და გარონის დეპარტამენტში მოაწყო ადგილობრივი კომიტეტების დელეგატთა დეპარტამენტული კონფერენცია. ფინისტერის დეპარტამენტში იქმნება ახალი ადგილობრივი კომიტეტები. რესპუბლიკური კომიტეტი ბელფორში მოუწოდებს მშრომელებს წინააღუდგნენ „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტების“ შთამგონებლებს.

ალჟირის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ალჟირში საფრანგეთის პოლიციკის შესახებ

პარიზი, 10 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით, ალჟირის კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა ლარბი ბუხალიმ გააკეთა განცხადება ალჟირის მიმართ საფრანგეთის პოლიტიკის გამო. „უკიდურესი კოლონიალისტების მსგავსად, — ნათქვამია განცხადებაში, — დე გოლი თავს გვაჩვენებს, თითქოს არ იცოდეს, თუ რატომ იბრძვის გმირულად ალჟირელი ხალხი. უკვე თითქმის ოთხი წელიწადია, არ ერიდება ყველაზე მძიმე მსხვერპლს, კატეგორიულად უარყოფს კოლონიური სისტემის აღდგენის ყველა ფორმას, იბრძვის თავისი მთავარი მიზნისათვის: ეროვნული დამოუკიდებლობისათვის... ალჟირელები იმიტომ როდი ღვრიან სისხლს, რომ მოიპოვონ უცხოეთის მოქალაქეობა. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ სცნონ და პატივი სცენ მათ ერთადერთ მოქალაქეობას — ალჟირის მოქალაქეობას.

ალჟირელთა ეს მისწრაფება — იყვნენ თავისთავადნი, ნიშნავს, რომ მათ უკავიათ არა საფრანგეთის საწინააღმდეგო, არამედ მტკიცე ანტიკოლონიალისტური პოზიცია“.

შეეხო რა დე გოლის გამოსვლას ალჟირში, ლარბი ბუხალიმ განაცხადა, რომ მეთაურის ეს გამოსვლა „პრაქტიკულად ნიშნავს გადაწყვეტილებას აწარმოოს ომი ალჟირში გამარჯვებამდე... დე გოლის გამოსვლა ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ ამავე დროს არის გამოსვლა ტუნისისა და მაროკოს მოძმე ხალხების წინააღმდეგაც“.

ალჟირის ეროვნული ფრონტის კომიტეტის განცხადება

კაირო, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ალჟირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის საკოორდინაციო და აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც შეიკრიბა სხდომაზე კაიროში, გამოაქვეყნა მიმართვა ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებისადმი. მიმართვაში ნათქვამია, რომ არ იქნება მიღებული არავითარი წინადადება საფრანგეთთან ალჟირის გაერთიანების შესახებ და რომ ალჟირელი პატრიოტები განაგრძობენ ბრძოლას გამარჯვებამდე.

ალჟირელებს, ხაზგასმით აღნიშნულია მიმართვაში, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განთავისუფლდნენ ბატონობისაგან, რომელიც მათ თავს მოახვიეს მტრებმა, მიაღწიონ ხალხის გაერთიანებას. ალჟირელები სარგებლობენ

საომარი მოქმედება ალჟირში

პარიზი, 10 ივნისი. (საკდესი). საომარი მოქმედება ალჟირში სულ უფრო გააფთრებულ ხასიათს იღებს. როგორც ალჟირში მოქმედი საფრანგეთის ჯარების სარდლობის კომუნიკედან ჩანს, 2-8 ივნისის ბრძოლებში ალჟირელმა პატრიოტებმა მოკლულთა სახით დაკარგეს 591 კაცი. საფრანგეთის ჯარების დანაკლისს, როგორც ჩვეულებრივ, არ იუწყებიან. ყველაზე გაფთრებული ბრძოლები მოხდა ბატნის, ბლიდის, ორანის რაიონებში და ქალაქ ალჟირის მახლობლად.

მოკლე ცნობები

◎ ნიუ-იორკში სპეციალურ მრავალსართულიან საგამოფენო შენობა „კოლიზეიში“ გაიხსნა ავტომატიზაციის მეოთხე სამრეწველო გამოფენა. გამოფენაში პირველად მონაწილეობს საბჭოთა კავშირი. სსრ კავშირის პავილიონის სტენდებზე წარმოდგენილია 80-მდე ექსპონატი, ძირითადად ხელსაწყოები და ავტომატური მოწყობილობანი სხვადასხვა საწარმოო პროცესის დაკვირვების, კონტროლისა და მართვისათვის.

◎ მონღოლეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა მონღოლური პროზისა და პოეზიის ორტომეული კრებული „ოქტომბრის შუქი“. კრებულში დაბეჭდილია მონღოლი მწერლების 100-ზე მეტი საუკეთესო ნაწარმოები, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და ორი მოძმე ხალხის ურღვევი მეგობრობისადმი.

◎ ქაბულის ცენტრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ძეგლი იმის აღსანიშნავად, რომ შესრულდა 80 წელი, რაც ავღანელმა მეომრებმა დამარცხეს ინგლისელი კოლონიზატორები მეოცენდში ინგლის-ავღანეთის მეორე ომის დროს.

◎ ლაიპციგში გაიმართა სრულიად გერმანიის მუშათა კონფერენციების მუდმივი კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა ევროპის ქვეყნების პროფკავშირთა და მშრომელთა კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხები. კომიტეტმა დაავალა პრეზიდიუმს აცნობოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას, რომ იგი ევროპის ქვეყნების პროფკავშირთა და მშრომელთა კონფერენციაზე გაგზავნის თავის დელეგაციას.

◎ როგორც საფრანგეთის პრესა იუწყება, პორტუგალიის პრეზიდენტად 8 ივნისს აირჩიეს „ოფიციალური კანდიდატი“ ადმირალი ტომაზი. ოპოზიციის კანდიდატმა გენერალმა დელგადომ განუცხადა ჟურნალისტებს: ხმების უმეტესობას მივიღებდი, „არჩევნები ნამდვილად თავისუფალი რომ ყოფილიყო“.

◎ ბუდაპეშტში გამოქვეყნდა სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა, რომელიც აირჩია ახალი საბჭოს პირველმა სხდომამ. პრეზიდიუმის შემადგენლობაში შევიდა 38 კაცი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია კოშუტის პრემიის laureატი მწერალი იო�ეფ დარვაში, საბჭოს გენერალურ მდივნად — იანოშ ხანტოში.

◎ ინგლისის გაზეთი „დეილი ექსპრესი“, იუწყება რა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს, რომელიც მან მოაწყო, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისის „მეტი წილი ადამიანები იმის წინააღმდეგი არიან, რომ დასავლეთ გერმანიას ჰქონდეს წყალბადის ბომბები“. ყველა გამოკითხულთა 54 პროცენტი იმის წინააღმდეგ წავიდა, რომ დასავლეთი გერმანია ატომური იარაღით აღიჭურვოს, წერს გაზეთი. 29 პროცენტმა მხარი დაუჭირა ატომური იარაღით აღჭურვას და 17 პროცენტს არ გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება.

◎ როგორც ასოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის საგენტო იუწყება, 8 ივნისს მოკლეს მოჰამედ ფარიდ-ხანი — დასავლეთ პაკისტანის მინისტრი და ჩრდილოდასავლეთ საზღვისპირა პროვინციის ყოფილი მინისტრი. მკვლელი მიიმალა.

(საკდესი).



თანდათან იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება დაბა ვალე. მეშახტეებისათვის შენდება ახალი სახლები, ლამაზდება ქუჩები. სურათზე: მეშახტეთა ახალი სახლები ახალციხის რაიონის დაბა ვალეში.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

კვიპროსის ამბები

ათენი, 10 ივნისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, 7 ივნისს ღამით კვიპროსის თურქმა მოსახლეობამ, რომელიც წააქეზეს საბერძნეთის მოწინააღმდეგე ნაციონალისტურმა ელემენტებმა, რბევა მოაწყო ნიკოზიის, ფამაგუსტისა და კუნძულის სხვა ქალაქების ბერძნულ უბნებში. პრესის მონაცემებით, მოკლულია ხუთი და დაჭრილია 70 ბერძენი. ბერძნების რამდენიმე მაღაზიასა და საწარმოს ცეცხლი წაუკიდეს. 8 ივნისს სტამბოლში დიდი მიტინგი გაიმართა, რომელზეც ორატორებმა გაილაშქრეს საბერძნეთის წინააღმდეგ. ისინი გაიძახოდნენ ლოზუნგს „კვიპროსის გაყოფა ან სიკვდილი“.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ გააკეთა განცხადება, რომ საბერძნეთის მთავრობამ კვიპროსის ამბები რომ შეიტყო, მითითება მისცა საბერძნეთის მუდმივ წარმომადგენელს ნატოში — მოითხოვოს ნატოს მუდმივი საბჭოს საგანგებო სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა, რათა დაგმოს თურქეთის ვანდალიზმის ეს აქტები. მთავრობამ ანალოგიური საპროტესტო დემარში გააკეთა ლონდონში, ვაშინგტონსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში. მთავრობამ წინადადება მისცა საბერძნეთის ელჩს ანკარაში პეზმაზოღლუს, რომელიც თურქეთში უნდა წასულიყო 9 ივნისს, დარჩეს ათენში ახალ განკარგულებამდე.

ნატოს მუდმივ საბჭოში მიმართვის შემდეგ, წერს „ნეა“, შეიძლება ითქვას, რომ საბერძნეთი არ მიიღებს მონაწილეობას ნატოს მანევრებში, რომლებიც დანიშნულია შუა ივნისისათვის და რომელთა მსვლელობაში განზრახული იყო თურქეთის ჯარების დესანტის გადასხმა კრეტის კუნძულზე.

დღეს გაიმართა მთავრობის სხდომა, რომელმაც განიხილა, თუ რა ღონისძიებანი განხორციელდეს კვიპროსზე მომხდარი რბევის გამო. პოლიცია და ჯარები ათენში და ყანდარმერია დიდ ქალაქებში მზად არიან საბრძოლველად, რათა დაიცვან „მოკავშირეთა“ საელჩოები საბერძნეთში.

პარიზი, 9 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, დღეს კვიპროსის ბერძენმა მოსახლეობამ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა მთელ კუნძულზე ნიშნად პროტესტისა ბერძნებზე თურქთა თავდასხმის წინააღმდეგ.

ქალაქ ფამაგუსტის მერმა პუგიუროსმა განაცხადა, რომ ბომბის აფეთქება თურქეთის საინფორმაციო ბიუროს შენობაში (აფეთქება, რომელიც რბევის უშუალო საბაბი გახდა) თურქებმა მოამზადეს, რათა გამოეწვიათ სამოქალაქო ომი. პუგიუროსმა დასძინა, რომ, რადგან ინგლისის უშიშროების ჯარებს არ ენდობიან, კვიპროსელი ბერძნები თვითონ აწყობენ თავიანთი სიცოცხლისა და ქონების დაცვას.

ძაიხსნა იაპონიის პარლამენტის 29-ე სესია

ტოკიო, 10 ივნისი. (საკდესი). დღეს ტოკიოში გაიხსნა იაპონიის პარლამენტის საგანგებო, 29-ე სესია. სესიის გახსნის წინ გაიმართა იაპონიის მთავრობის სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ, რაც მთავრობამ აცნობა პარლამენტის ქვედა და ზედა პალატებს.

სესია აირჩევს იაპონიის ახალ პრემიერ-მინისტრს, რომელიც შემდეგ შეადგენს მთავრობას. სესიაზე პირველი დღიდანვე ლიბერალურ-დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებს შორის გაიმართა ბრძოლა ქვედა პალატის თავმჯდომარისა და ვიცე-თავმჯდომარის, აგრეთვე პარლამენტის კომისიების თავმჯდომარეთა არჩევის საკითხზე. პრემიერ-მინისტრი, რომლის არჩევაც დღეს უნდა მომხდარიყო, ჯერ კიდევ არ აურჩევიათ.

სპექტაკლი პლასტუნკელი ქართველებისათვის

ხოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი შეფობას უწევს კრასნოდარის მხარის ადლერის რაიონის პატარა სოფელს პლასტუნკას, სადაც 220 კომლი ქართველი ცხოვრობს. როგორც მათთან ტერიტორიულად ყველაზე ახლო მყოფმა ქართულმა თეატრმა, ჩვენ მეხამედ ჩავიტანეთ იქ სპექტაკლი და ვაჩვენეთ პლასტუნკელ ქართველებს.

პირველი იყო „ფაქიზი განცდები“, მეორე — „გლახის ნაამბობი“. ქართული წარმოდგენები უყვართ რუსებსაც. ისინი მახლობელი სოფლებიდან მოდიან ჩვენი დადგმების სანახავად.

ამჯერად ვაჩვენეთ „ნაცარქექია“. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალ კლუბში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, სოჭიდანაც კი მოვიდნენ ქართველები.

ფარდა გაიხსნა თუ არა, მაყურებელთა დარბაზში დაიწყო სიცილ-ხარხარი. დიდი თუ პატარა გატაცებით ადევნებდა თვალს მსახიობთა მოქმედებას.

ნაცარქექიას როლის შემსრულებელი ხაქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გ. ფოჩხუა, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ო. კანდელაკი, დ. გეგეჭნავა, ნ. მასხულია, ქ. დოლიძე, ი. წერეთელი და მსახიობები ბ. წიფურია, თ. მელაძე, თ. ბაბლიძე, ბ. ტორონჯაძე, შ. გაბელაია, ნ. ქაროსანიძე და სხვები განსაკუთრებული ინტერესით მონდომებით ასრულებდნენ თავიანთ როლებს.

პლასტუნკელებმა მეგობრული შეხვედრა მოუწყეს სოხუმელ მსახიობებს. ჩვენ გავეცანით ამ სოფლის რევოლუციურ წარსულს, ვინახულეთ სოფლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, პლასტუნკელ რევოლუციონერთა შტაბის ბინა. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. მსახიობებმა აღუთქვეს, რომ პლასტუნკელი ქართველებისათვის ისინი კვლავაც მოაწყობენ ასეთ სპექტაკლებს.

ნ. მიქაუაგიძე,
სოხუმის თეატრის
მსახიობი.

ფოთის მაშველ სადგურში 20 ნავი და ერთი მაშველი კატერი ირიცხება. სადგურში მუშაობს 20 მყვინთავი.

სურათზე: ფოთის მაშველი სადგურის ახალგაზრდა მყვინთავთა ჯგუფი, რომელსაც უფროსი მყვინთავი ტ. კისელი ხელმძღვანელობს, ატარებს მორიგ მეცადინეობას.

ფოტო გ. კიკვაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

თბილისის საგარეუბნო კურორტებზე

საქართველო ცნობილია საუკეთესო საკურორტო ადგილებით. ბევრი მათგანი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გარშემო მდებარეობს, კოჯორი, წყნეთი, მანგლისი, კიკეთი და სხვ. გამოირჩევიან საუკეთესო საკურორტო თვისებებით. ქალაქთან სიახლოვე, კეთილმოწყობილი გზები ხელმისაწვდომს ხდიან მათ მშრომელთათვის. განსაკუთრებით კარგია ეს ადგილები ბავშვების გასაჯანსაღებლად. აქ გაშენებული ათობით სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურებიან. ამ კურორტებზე სანატორიუმებში წელს ათასობით მშრომელი იმკურნალებს, მათ შორის 2,200 ბავშვი. გარდა ამისა, საგარეუბნო აგარაკებს ეწვევა 25.000-ზე მეტი არაორგანიზებული დასვენებელი.

წყნეთსა და მანგლისში წელს სეზონი პირველი ივნისიდან გაიხსნა, ხოლო კოჯორსა და კიკეთში — პირველი ივლისიდან. ამისათვის მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ ადრე დაიწყო. შეკეთებულია სანატორიუმები, საგარაჯო საცხოვრებელი სახლები, შიდაგზები, პარკები და ბაღები. სამკურნალო კაბინეტები შეივსო ხელსაწყოებით, მანგლისის ბავშვთა სანატორიუმში მოეწყო რენტგენის ახალი კაბინეტი.

წელს საგარეუბნო კურორტებზე იმუშავებს 63 საბავშვო გამაჯანსაღებელი დაწესებულება — საბავშვო სახლები, ბაღები, პიონერთა ბანაკები და სხვ.

თბილისის ავტოვაგზლიდან ზაფხულში საგარეუბნო კურორტებზე დაწესდება ავტობუსების დამატებითი რეისები. დასახელი ღონისძიებანი საბავშვო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობის გასუმჯობესებლად.

დამსვენებელთა სანიმუშო სავაჭრო მომსახურებისათვის

ბათუმი. (ხაკ. კორ.). აჭარის ზღვისპირა კურორტებზე დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოსულ მშრომელთა სანიმუშო სავაჭრო მომსახურებისათვის აჭარის „კურორტავჭრობამ“ და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს.

წელს საქონელბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზრდება და მარტო კურორტავჭრობის ხაზით დასასვენებლებს მიეყიდება 14 მილიონ 600 ათასი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე შარშან. 4 თვეში მომხმარებელს გეგმის ზევით მიეყიდა 3 მილიონი მანეთის საქონელი.

საგრძნობლად გაფართოვდა სავაჭრო ქსელიც. 100 ძირითად სავაჭროს გარდა მუშაობას შეუდგა 30-მდე სეზონური სავაჭრო წერტი, ფარდული და კიოსკი, რომლებიც ვაჭრობენ გამაგრილებელი წყლებით, პირველი მოხმარების საქონლითა და პროდუქტებით. შემოღებულია საქონლის დატარებითი ვაჭრობა საზღვაო პლაჟებსა და დასასვენებელ ადგილებში. სისტემატურად იზრდება სავაჭრო ქსელში სეზონური საქონლისა და პროდუქტების შემოზიდვა.

სპორტი

ბასკეტბლის ჩემპიონატი ფეხბურთში

11 ივნისი ფეხბურთში მსოფლიო პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული დღე იყო. ამ დღეს შეეცილის სხვადასხვა ქალაქში ქვეჯგუფების მიხედვით გაიმართა 7 მატჩი.

დიდ ინტერესს იწვევდა საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ფეხბურთელთა შეხვედრა.

პირველი ტაიმი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ 1:0. მე-15 წუთზე ბურთი გაიტანა ა. ილინმა. შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში მეკარე ლ. იაშინმა მოიგერია 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. მე-18 წუთზე ე. ივანოვმა მეორე ბურთი გაიტანა ავსტრიელთა კარში. გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა 2:0.

საქართველოს პირველობაზე

გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში საქართველოს 1958 წლის პირველობაზე. პირველი ჯგუფის გუნდებს, რომლებიც გაყოფილია ორ ზონად, დღემდე გამართული აქვთ 9-10 თამაში.

უკანასკნელ შეხვედრათა შედეგები ასეთია:

პირველი ზონა — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი — „დინამო“ (ქუთაისი) 2:2, „დინამო“ (სოხუმი) — თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი 1:2, „სპარტაკი“ (თელავი) — „კოლმეურნე“ (ქობულეთი) 1:1.

მეორე ზონა — „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:3, „დინამო“ (ბათუმი) — „სხვი“ (რუსთავი) 2:1, „მაღაროელი“ (ციხისძირა) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 3:1, „კოლმეურნე“ (ზანარაძე) — ფოთის გუნდი 1:2, „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) — თბილისის 26 კომისრის რაიონის გუნდი 3:2.

პირველ ზონაში ლიდერია ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი (9 თამაშიდან 15 ქულა). მეორე ზონაში წარმატებით გამოდის ჭიათურის „მაღაროელის“ ახალგაზრდა კოლექტივი, რომელსაც 10 თამაშიდან შეგროვებული აქვს 14 ქულა და ზონის ლიდერია.

მაღალი შედეგები მძლეოსნობაში

ვილნიუსში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ბელორუსიის, ესტონეთის, ლატვიისა და ლატვიის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი. შეჯიბრება აღინიშნა მაღალი სპორტული შედეგებით. ქ. ტარტუს მძლეოსანმა ლ. ვირკუსმა 10.000 მეტრი გაირბინა 29 წუთსა და 19 წამში, რაც მიმდინარე წლის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. ჰაბუკთა შორის ბიდროს ტყორცნაში დ. ბალანოვმა სსრ კავშირის ახალი რეკორდი (50 მეტრი და 69 სანტიმეტრი) დაამყარა.

* * *

ბუქარესტში გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაში რუმინეთის ცნობილმა სპორტსმენმა ქალმა ი. ბალაშმა გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში დაძლია 1 მეტრი 78 სანტიმეტრი და ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა.

მატჩები ხელბურთში

კაუნასში მოეწყო საერთაშორისო მატჩები ხელბურთში პოლონეთისა და ლიტვის ქალთა და ვაჟთა ნაკრებ გუნდებს შორის. ქალთა გუნდების ასპარეზობაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 4:3, ვაჟთა გუნდების შეხვედრაში — პოლონელებმა 12:9.

რედაქტორი პ. რატიანი.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გორდა. (1-ლი აბ. მე-9 წარმ.), რუსთაველის სახელობის — პეპო, მარჯანიშვილის სახელობის — მარინე, გრიბოედოვის სახელობის — სიხარულის ძიებაში, ხომხური დრამის — მორგანის მძიალი, მუსიკალური კომედიის — ცირკის პრინცესა, ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — საქართველოს საესტრადო საღამო (9 ს.).

კინოთეატრებში

ამირანი (საზამთრო), ოსანი (საზამთრო), სპარტაკი, თბილისი, საქართველო (წითელი დარბაზი) — „ორიოლი 101“, კომკავშირელი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ყაზბეგი, კომუნარების ბაღი — კალათბურთელი № 5, რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი — სამი სარკე, ამირანი (საზაფხულო) — დება (I სერია), ოსანი (საზაფხულო), კოლმეურნე, დიდუბე (საზაფხულო) — ყალბი სათაყვანო, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის პარკი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი — გულის სამახსოვრო, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), საქართველო (მწვანე დარბაზი) — ბაშა-აჩუკი, საქართველო (საზაფხულო) შავი კლდეები, კოლხიდა (საზამთრო) — ჩიტების გამყიდველი, კოლხიდა (საზაფხულო) — დედის სიყვარული, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზაფხულო), დიდუბე (საზამთრო) — ლოვისა, ოფიცერთა სახლი — ქალიშვილი ბომბეიდან, ვაკის პარკი — აბეზარა, პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზაფხულო) — ბრიკენი.

ჯელგადაცემათა პროგრამა

12 ივნისისათვის

20.00 — სატელევიზიო მინიატიურა „დედა“, 20.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.35 — ლანდშაფტ-მცოდნეთა — გეოგრაფთა საკავშირო თათბირის მონაწილენი სტუდიაში, 20.45 — მხატვრული ფილმი „ჯელთა საქმე“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს თეორიული ფიზიკის განყოფილების გამგის ვაკანტურ თანამდებობაზე.

განცხადებასთან ერთად საჭიროა წარმოდგენილ იქნას შემდეგი საბუთები: 1. კადრების აღრიცხვის ფურცელი, 2. ავტობიოგრაფია, 3. უმაღლესი განათლების დიპლომი, 4. საბუთები სამეცნიერო ხარისხისა და წოდების შესახებ, 5. სამეცნიერო შრომების სია, 6. სამსახურებრივი და პარტიული დახასიათება, 7. სამეცნიერო შრომების დახასიათება.

საბუთების წარმოდგენის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, სპორტისა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიურისა — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.